პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

30 მაისი ხუთშაბათი 1968

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 48-ე წელი ● № 124 (14120)

დროშა შეჯიბრებაში გამარჯვებულს

1968 წლის პირველ კვარტალში სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვაში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და რესპუბლიკის პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა მიენიჭა გარდაბნის რაიონს.

სახელმწიფოსათვის პირუტყვისა და ფრინველის მიყიდვის გეგმა შესრულებულია 109,9 პროცენტით, რძისა — 110,2 პროცენტით, კვერცხისა — 112,7 პროცენტით. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მიმდინარე წლის 1 აპრილისათვის პირუტყვის სულადობა გაიზარდა: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა — 7,5 პროცენტით, ღორისა — 28,4 პროცენტით, ცხვრისა და თხისა — 1,4 პროცენტით, ფრინველისა — 51,2 პროცენტით.

აღინიშნა თეთრი წყაროს, ხაშურის, სილნაღის, ქარელის, გორის, ლაგოდეხის, კასპის, წითელწყაროს, ახმეტის, ჯავის, ტყიბულის, საჩხერის, ონის, ზესტაფონის, წულუკიძის, ვანის, ცხალაიას, ზუგდიდის, ლანჩხუთის, ქობულეთის, სოხუმის, ახალციხის, ბოლნისის, ლენტეხის რაიონების კარგი მუშაობა. (საქდესი).

მეთამბაქოეთა საზრუნავი

ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ეკონომიკაში მეთამბაქოობას ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს, მთელი რიგი რაიონებისათვის კი მთავარი დარგია. ეს ითქმის ლაგოდეხის, მარნეულის, ბოლნისის რაიონებზე, აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის მთელ რიგ რაიონებზე. მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ რესპუბლიკის ზოგიერთი საზოგადოებრივი მეურნეობის ხელმძღვანელთა უყურადღებობის შედეგად ამ ბოლო წლებში ჩვენი რესპუბლიკა თამბაქოს წარმოებისა და დამზადების გეგმებს ვერ ასრულებს. ახე იყო გასულ სამეურნეო წელსაც, თამბაქოს დამზადების გეგმა მხოლოდ 85,6 პროცენტით შესრულდა. ნაცვლად 19.000 ტონისა სახელმწიფოს მიეყიდა 16.265 ტონა თამბაქო.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიილო გადაწყვეტილება ამა წლის 6 ივნისს სოხუმში მოწვეულ იქნას რესპუბლიკური თათბირი მეთამბაქოოობის საკითხებზე. თათბირზე განიხილავენ თამბაქოს წარმოების გაფართოების, გადამუშავების გაუმჯობესებისა და ხარისხის ამაღლების საკითხებს. ეს დიდმნიშვნელოვანი თათბირი ქმედითს ღონისძიებებს დასახავს მეთამბაქოობაში არსებული ნაკლოვანებების მოკლე დროში აღმოფხვრისათვის, იმისათვის, რომ ამ დარგის სპეციალისტებმა, რიგითმა მეთამბაქოეებმა მთელი ენერგიის დაძაბვით, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების წარმოებაში დანერგვით მიაღწიონ მკვეთრ გარდატეხას, რომ მეთამბაქოეებიც მხარში ამოუდგნენ ჩვენს სახელოვან მეჩიჟიებს, მეკენახეებს, მეხილეებს, მემინდვრეებს.

ცნობილია, რომ თამბაქო მეტად შრომატევადი კულტურაა, მაგრამ ამასთან შემოსავლის ერთ-ერთი ძირითადი წყაროც არის ლაგოდეხის, მარნეულის, ბოლნისის რაიონების, აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების ბევრი საზოგადოებრივი მეურნეობისათვის. იქ, სადაც აგროწესებისა და ვადების ზუსტად დაცვით აწარმოებენ ჩითილის გამოყვანას, თამბაქოს რგვას, პლანტაციების მოვლა-პატრონობას, წარმატებაც უზრუნველყოფილია. მოწინავე საზოგადოებრივი მეურნეობანი თამბაქოს ნედლეულის უხვად წარმოების საქმეში იყენებენ საბჭოთა მეცნიერების მიღწევებს.

ამ ბოლო დროს თამბაქოს პლანტაციებს გაუჩნდა დაავადება ცრუნაცარა. რა თქმა უნდა, ამან უარყოფითად იმოქმედა მოსავლიანობაზე, მაგრამ ამ პირობებშიც მეთელი რიგი კოლმეურნეობებისა თუ საბჭოთა მეურნეობების მეთამბაქოეებმა, სპეციალისტებმა დროულად იზრუნეს თამბაქოს დაავადების აღმოფხვრისათვის და წარმატებასაც მიაღწიეს. აღსანიშნავია ლაგოდეხის რაიონის მეტ წილ კოლმეურნეობათა სერიოზული დამოკიდებულება მეთამბაქოობისადმი. რაიონის კოლმეურნეობათა უმეტესობამ ხუთწლედის პირველ და მეორე წელს კარგად იშრომა, და შედეგიც ფრიად როდი იყო, რაიონმა შეასრულა თამბაქოს ნედლეულის დამზადების გეგმები. ასევე ითქმის მარნეულის რაიონის მთელ რიგ საზოგადოებრივ მეურნეობებზე. მარნეულელებმაც გასულ სამეურნეო წელს შეასრულეს თამბაქოს დამზადების გეგმა.

მოწინავე მეთამბაქოეებმა წარმატებას პირველ რიგში იმით მიაღწიეს, რომ ზუსტად იცავენ ჩითილის მოყვანის, აგრეთვე გადარგვის აგროწესებს და ამასთან პლანტაციებში დროულად აწარმოებენ უოველგვარ სამუშაოს. ახე მუშაობენ ლაგოდეხის რაიონის აფენის, შრომის, ნინოწმინდის და სხვა კოლმეურნეობები და გეგმებსაც გადამეტებით ასრულებენ.

თამბაქოს უხვი მოსავლისათვის ბრძოლა სარეველა მიწის შერჩევიდან, სათბურების მოწყობიდან იწყება. ჯანსაღი ჩითილი კი წარმატების ერთ-ერთი წინაპირობაა. ჩითილის აგროვადებში და წესების ზუსტად დაცვით გადარგვა, პლანტაციების სიმეჩჩრის წინააღმდეგ გულმოდგინე ბრძოლა, ნიადაგის მაღალხარისხოვნად დამუშავება, სასუქების საკირო დოზით შეტანა, რეგულარული რწყვა უხვი მოსავლის უტყუარი გარანტიაა.

როგორ მიმდინარეობს თამბაქოს რგვა წელს რესპუბლიკაში? აჩადმაკაკაოფილებლად. ეს სამუშაო 27 მაისისათვის 60,8 პროცენტით იყო შესრულებული. ნაცვლად 18.964 ჰექტარისა თამბაქო დარგული იყო 8.496 ჰექტარზე. შედარებით უკეთესი მდგომარეობა ლაგოდეხის, მარნეულისა და ბოლნისის რაიონებშია. ლაგოდეხელებმა წელს თამბაქო გეგმით 2.541 ჰექტარზე უნდა დარგონ, დარგულია 2.840 ჰექტარი, გეგმა შესრულებულია 92,1 პროცენტით. მარნეულის რაიონში ნაცვლად 2.557 ჰექტარისა დარგულია 1.958 ჰექტარი, გეგმა შესრულებულია 76,6 პროცენტით. ბოლნისელებს თამბაქოს რგვის გეგმა შესრულებული აქვთ 90,8 პროცენტით.

თამბაქოს რგვის აგროვადები მიიწურა. მიუხედავად ამისა რგვის საქმეში კვლავ შეუწყნარებლად ჩამორჩნენ აფხაზეთის მეთამბაქოეები. რესპუბლიკის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს 27 მაისის ცნობებით, აქ ეს სამუშაო 37,8 პროცენტით არის შესრულებული, ნაცვლად 6.961 ჰექტარისა თამბაქო დარგულია მხოლოდ 2.628 ჰექტარზე. თამბაქოს რგვა კი აგროწესებით 1 ივნისს უნდა დამთავრდეს. ამ საქმეში ჩამორჩენის გასამართლებლად ზოგიერთი საზოგადოებრივი მეურნეობა უამინდობას იშველიებს. ეს, რა თქმა უნდა, მთლად სწორი არ არის. ერთსა და იმავე ბუნებრივ პირობებში ერთი კოლმეურნეობა წარმატებას აღწევს, მეორე კი — ვერა. მაშ რა არის ჩამორჩენის მიზეზი? სიზანტე, უპასუხისმგებლობა, რასაც ზოგიერთი საზოგადოებრივი მეურნეობის ხელმძღვანელი იჩენს მეთამბაქოობისადმი. ამასთან ზოგან ნაკლებ ყურადღებას აქცევენ მოწინავეთა გამოცდილებისა და მეცნიერების მიღწევების წარმოებაში დანერგვას, სათანადოდ არ ზრუნავენ მეცნიერ-მუშაკთა საქმიანი მითითებების განსახორციელებლად.

მეთამბაქოობის რაიონების პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელების, სპეციალისტების, ამ დარგის მეცნიერი მუშაკების, ყველა მეთამბაქოეს საპატიო გალია გულდასმით გაუკეთონ ანალიზი ნაკლოვანებათა მიზეზებს, იბრძოლონ ჩამორჩენის სლიკჯდაციოდ, რომ ხუთწლედის მესამე წელს უთუოდ შესრულდეს თამბაქოს წარმოებისა და დამზადების გეგმები.

გუშინ ჩაის პლანტაციებში

ხუთწლედი — ვადამდე!

ბახორაძის რაიონმა ერთ დღეს მოკრიფა 595 ტონა ჩაის ნედლეული, სეზონის დაწყებიდან სულ—9.905 ტონაზე მეტი. სოფელ შრომის კოლმეურნეობის მეჩაიეებ, სოციალისტური შრომის გმირმა ტ. ჩხაიძემ მოკრიფა 75 კილოგრამი ფოთოლი ნაცვლად 30 კილოგრამისა, ასეთივე წარმატებები აქვთ ამავე კოლმეურნეობის წევრებს, სოციალისტური შრომის გმირებს ნ. გოგოძეს, გ. ჭადეიშვილს და კოლმეურნე ვ. გობრონიძეს. სოფელ მშვიდობაურის კოლმეურნეობის წევრმა ტ. სურგულაძემ მოკრიფა 60 კილოგრამი პირველი ხარისხის ფოთოლი და ამით დღიურ ნორმას 30 კილოგრამით გადააჭარბა.

ჩხოროწყუელმა მეჩაიეებმა მოკრიფეს 100 ტონა ფოთოლი. სუბონის დაწყებიდან მოკრეფილია და ფაბრიკებს გადასამუშავებლად ჩაბარდა 2.558 ტონა ჩაის ნედლეული. ხაბუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა სოქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ლ. გორდულაძემ ერთ დღეს მოკრიფა 100 კილოგრამი ფოთოლი ნაცვლად 18 კილოგრამისა, ო. შენელიამ — 90 კილოგრამი, ჩხოროწყუს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ლ. პაპასკირმა მოკრიფა 75 კილოგრამი ჩაის ნედლეული ნაცვლად 18 კილოგრამისა, მ. ჯიქიამ — 62 კილოგრამი, ხოლო თ. ბებიამ და ლ. პაპასკირმა თვითეულმა 76 კილოგრამი ხარისხოვანი ფოთოლი. ლესიპინის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა ლ. სიკინავამ და გ. ხანაიამ სამოც-სამოცი კილოგრამი ფოთოლი მოკრიფეს. მუხუტის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიემ რ. ცირდავამ — 55 კილოგრამი ნაცვლად 18 კილოგრამისა.

16 ათასი ნაპილი — დაზოგილი ნედლეულით

ჭუთაისი. (საკ. კორ.). ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის კოლექტივმა ოთხი თვის გეგმის გადამეტებით გამოუშვა 331 ათასი მანეთის პროდუქცია და დამატებით 53 ათასი მანეთის ფეხსაცმლის რეალიზაცია მოახდინა.

კომბინატის კოლექტივმა, რომელიც მომპირნეობით და უაირათიანად მუშაობს, წლის განვლილ პერიოდში დაზოგა 355 ათასი დეციმეტრი საზედაპირე, ხაძირე და სასარჩელე ტყავი. დაზოგილი ნედლეულისაგან აქ დამატებით გამოუშვეს 16 ათასი წყვილი მაღალხარისხოვანი ფეხსაცმელი.

ბოლნისის ანგარიშში

ორჯონიკიძე. (საკ. კორ.). აღმავლობით მუშაობს ზვარეს მინერალური წყლების ჩამომსხმელი ქარხნის კოლექტივი (დირექტორი შ. ბერაძე). იქ ოთხ თვეში 750 ათასი ბოთლი ნაცვლად ჩამოასხეს 1.040 ათასი ბოთლი „ზვარე“ და დავალება 137 პროცენტით შეასრულეს. ახლა საწარმო პროდუქციის ინვისს ანგარიშში იძლევა. რეალიზაციის გეგმა შესრულებულია 115 პროცენტით. ქარხანა ჭიმგებიანია.

შრომითი ნოგათეგი

სილნაღის რაიონის მშრომელთა პირობა იყო თავთავიანი მარცვლეული კულტურის მოსავლის უდანაკარგოდ და დროულად აღების მიზნით კომბაინების რემონტის გეგმა შეესრულებინათ პირველი ინვისისათვის. ფაქტიურად პირობა გადაეზარდა ადრე გაანაღდეს, უკვე შეაკეთეს 59 კომბაინი და ამით გეგმა 100 პროცენტით შეასრულეს.

ბორის რაიონმა პირობა შეასრულა. სახელმწიფოს მიჰყიდა 4.676 ცენტნერი ხორცი ნაცვლად ნახევარი წლის გეგმით გათვალისწინებული 4.540 ცენტნერისა.

უვარლის რაიონს ნახევარი წლის გეგმით სახელმწიფოსათვის უნდა მიეყიდა 2.350 ცენტნერი ხორცი, ფაქტიურად დაგალება 115,9 პროცენტით შეასრულა.

ბახრაძის რაიონმა სახელმწიფოს მიჰყიდა 2.734 ცენტნერი ხორცი ნაცვლად ნახევარი წლის გეგმით გათვალისწინებული 2.550 ცენტნერისა.

ხაშურელმა მშრომელებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 2.279 ცენტნერი ხორცი, რაც ნახევარი წლის გეგმის 116,6 პროცენტს შეადგენს.

მცხეთის რაიონის მშრომელებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 1.707 ცენტნერი ხორცი, რაც ნახევარი წლის გეგმის 105,4 პროცენტს შეადგენს. კვერცხის მიყიდვის ნახევარი წლის დავალება განაღდებულია 100 პროცენტით.

ქარელის რაიონმა სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის ნახევარი წლის გეგმა უკვე შეასრულა 110 პროცენტით. ხოლო კვერცხისა — 107,4 პროცენტით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა თათბირი, რომელმაც განიხილა საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობა და ფინანსური დისციპლინის მდგომარეობა კოლმეურნეობებში.

თათბირში მონაწილეობდნენ პარტიის რაიონული კომიტეტების მდივნები, რაიაღმასკომების თავმჯდომარეები, სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოთა უფროსები, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტრესტების მმართველები, საქართველოს მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტების ხელმძღვანელები, მთელ რიგ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები და საბჭოთა მეურნეობების დირექტორები.

ინფორმაციები გააკეთეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგემ ბ. გიგიბერიამ და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა მ. ღვინჯილიამ

კამათში გამოვიდნენ აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ლ. დავითაძე, პარტიის დუშეთის რაიკომის პირველი მდივანი ა. შადური, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე პ. გილაშვილი, პარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველი მდივანი ა. გონაშვილი, პარტიის გორის რაიკომის პირველი მდივანი რ. ბზიშვილი, პარტიის ბოგდანოვკის რაიკომის პირველი მდივანი ვ. დურგარიანი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტის „საქკონსერვხილბოსტანის“ თავმჯდომარე დ. შარაშიძე, პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ვ. გელაშვილი, ზუგდიდის რაიაღმასკომის თავმჯდომარე ო. ანთია, ჩოხატაურის რაიონის სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოს უფროსი კ. დოლიძე, პარტიის ვანის რაიკომის პირველი მდივანი გ. ყიფიანი.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა შ. ჭანუყვაძემ.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზ. გელდიაშვილი. (საქდესი).

მარნეულის რაიონის უაჩაღნის მერძეველობა-მეხოსტნეობის სახელოთა მეურნეობაში მეცხოველეები სახილოსე მასის დამზადებას შეუდგნენ. აქ ჭვავისაგან უკვე დამზადებულია 1.000 ტონა სილოსი. სახელოთა მეურნეობაში მეცხოველეობა წამყვან დარგს წარმოადგენს. მსხვილფეხა საქონლის 2.800 სულიდან 1.000 სული პროდუქტიულია. ამჟამად მეურნეობის მექანიზატორები ყოველ მექანიზატორზე 500 ცენტნერ სახილოსე მასას იღებენ. სურათზე: სახილოსე ჭვავის მექანიზებული აღება მარნეულის რაიონის უაჩაღნის მერძეველობა-მეხოსტნეობის სახელოთა მეურნეობაში.

ფოტო ი. დავითაშვილისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

მეტალურგთა თათბირი რუსთავში

რუსთავი, (საქდესი). აქ მუშაობა დაამთავრა მილის ნამზადის ხარისხის გაუმჯობესების საკითხებისადმი მიძღვნილმა სრულიად საკავშირო სამეცნიერო-ტექნიკურმა თათბირმა.

თათბირის მუშაობაში, რომელიც სამ დღეს გაგრძელდა, მონაწილეობდნენ სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს, საბჭოთა კავშირის მილის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის, ქვეყნის უდიდესი საწარმოების მუშაკები.

თათბირზე მიიღეს რეკომენდაციები ჩილის ნამზადის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ.

საქდესის კორესპონდენტთან საუბარში რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა ს. შარაძენინმა თქვა:

— ჩვენი ქვეყნის მეტალურგიულ საწარმოებში ყოველ ტონა მილზე საშუალოდ 1.170 კილოგრამამდე მილის ნამზადი იხარჯება; ნამზადის ღირებულების ხვედრითი წონა მილების თვითღირებულების 81,7 პროცენტს შეადგენს. ლითონის ხარჯვის მხოლოდ ერთი პროცენტით შემცირებას შეუძლია მისცეს ქარხანას რამდენიმე მილიონი მანეთი ეკონომია და დამატებით ათეულ ათასობით ტონა მილი.

მოძმე ხალხების კულტურათა ზეიმი

მოძმე ხალხების — საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიის ხალხების მეგობრობის სადიდებლად გაიმართა 28 მაისის საზეიმო კონცერტი კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში. აქ, რუსეთის ფედერაციაში ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის კულტურის დღეების გახსნაზე, გამოვიდნენ ჩეხოსლოვაკიის ხელოვნების ოსტატები.

მოსკოველები გულითადად მიესალმნენ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის კულტურის მოღვაწეებს კულტურისა და ინფორმაციის მინისტრის მოადგილე გალუშკას მეთაურობით.

რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ი. კოჩემასოვი მხურვალედ მიესალმა ჩეხოსლოვაკიის კულტურის მოღვაწეებს. სალამურ სიტყვაში მიროსლავ ბალუშკამ ძმური სალამი გადასცა დამსწრეთ ჩეხოსლოვაკიის მშრომელებისაგან.

ჩეხური და სლოვაკური ეროვნული კლასიკის ნაწარმოებები ეღერდა ამ დღეს კავშირების სახლში.

შემსრულებლები იყვნენ ჩეხური საგუნდო კაპელა და ბრატისლავის სლოვაკური ეროვნული თეატრის სოლისტები, სრულიად საკავშირო რადიოს და ტელევიზიის დიდი სიმფონიური ორკესტრი დირიჟორ ვ. ლიშაკის ხელმძღვანელობით.

ჩეხოსლოვაკიის კულტურის დღეების გახსნას დაესწრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოთა თავმჯდომარე ბ. ი. პორონოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ნ. დემიჩევი, აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული საბჭოთა კავშირში ი. ქაფკა. (საქდესი).

რომის მშრომელთა მიტინგი

რომი, 29 მაისი. (საკდესი). კუშინ საღამოს, ისევე როგორც ორი კვირის წინათ რომის მუშაკთა რაიონის სანჯოვანის დიდი მოედანი ბიჭყო ხალხით. მაშინ ეს იყო უკანასკნელი მიტინგი, რომელიც კომპარტიამ მოაწყო კენჭისყრის წინ. ამით დაამთავრა იტალიის კომპარტიამ თავისი წინასაარჩევნო კამპანია. კუშინ კომპარტიის მოწოდებით კვლავ ათეულ ათასობით ადამიანი შეიკრიბა აქ.

შეკრებილნი მკუხარე ტაშით შეხვდნენ იტალიის კომპარტიის გენერალურ მდივანს ლუიჯი ლონგოს და კომპარტიის სხვა ხელმძღვანელებს, რომლებიც ტრიბუნაზე ავიდნენ. ჩვენმა პარტიამ, თქვა მიტინგის გახსნისას ლ. ლონგომ, დაადასტურა, რომ იგი არის ცოცხალი, მოაზროვნე და მარად ახალგაზრდა ძალა. მოპოვებული გამარჯვება გვისახავს ამოცანას კიდევ უფრო განვამტკიცოთ პარტია, გავაფართოოთ მისი კავშირი ხალხის მასებთან.

განვლილი არჩევნების მთავარი შედეგია მემარცხენე ძალების ერთიანი ფრონტის დიდი წინგადადგმული ნაბიჯი, განაცხადა იტალიის კომპარტიის პოლიტბიუროს წევრმა ენრიკო ბერლინგუერმა.

ტრეგონის პირველადი არჩევნების შედეგები

ნიუ-იორკი, 29 მაისი. საკდესის კორესპონდენტი ი. აბლამოვი იუწყება:

ორეგონის შტატის პირველადს არჩევნებში გაიმარჯვა სენატორმა იუჯინ მაკარტიმ. წინასწარი მონაცემებით, მას ხმა მისცა დემოკრატ ამომრჩეველთა 43 პროცენტმა.

დემოკრატ ამომრჩეველთა ხმების 38 პროცენტი მიიღო სენატორმა რობერტ კენედიმ. პრეზიდენტის პოსტის ორივე პრეტენდენტი აქტიურ კამპანიას ეწეოდა, და უკანასკნელ წუთამდე გარკვეული არ იყო, თუ რა შედეგი მოჰყვებოდა მათ მეტოქეობას. კენედი და მაკარტი ილაშქრებენ მთავრობის სავიეტნამო კურსის წინააღმდეგ.

ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელი აგრესიული კურსის დამცველმა ვიცე-პრეზიდენტმა ჰემფრიმ მიიღო ხმების 6 პროცენტი. მისი გვარი მოხსენებული არ ყოფილა ბიულეტენებში, მაგრამ იგი ამომრჩევლებმა მიაწერეს. პრეზიდენტმა ჯონსონმა, რომელმაც მოგვიანებით განაცხადა, რომ უარს ამბობს წინასაარჩევნო ბრძოლაში მონაწილეობაზე და რომლის სახელიც ბიულეტენებში იყო მოხსენიებული, მოაგროვა ხმების 13 პროცენტი. ამ ხმებს ჰემფრისათვის მიცემულ ხმებად მიიჩნევენ.

როგორც ორეგონიდან მოსული ცნობები მოწმობენ, ჰემფრის მომხრენი ძირითად ღონისძიებებს ახორციელებენ იმისათვის, რომ ხელი შეუშალათ კენედის გამარჯვებისათვის. „ნიუ-იორკ ტაიმსი“ ამასთან დაკავშირებით წერს, რომ ჰემფრის მომხრენი არ ეწეოდნენ აქტიურ კამპანიას თავისი კანდიდატის მხარდასაჭერად, რათა ხმები „არ წაერთმიათ“ მაკარტისათვის.

წინასწარმეტყველების მიუხედავად, მწვავე ბრძოლა არ გაჩაღებულა რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელ პრეტენდენტებს შორის. ყოფილმა ვიცე-პრეზიდენტმა ნიქსონმა მიიღო 72 პროცენტი.

მიმომხილველებს ორეგონის პირველადი არჩევნები მიაჩნიათ დიდმნიშვნელოვან ეტაპად შემდეგი პირველადი არჩევნების მოწყობის გზაზე, რომელიც გაიმართება ერთი კვირის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთ უდიდეს კალიფორნიის შტატში.

სენატორმა კენედიმ განაცხადა, რომ ორეგონის არჩევნების შედეგების მიუხედავად განაგრძობს თავისი კანდიდატურის დასახელებას პრეზიდენტის პოსტზე. მიმომხილველები წინასწარმეტყველებენ, რომ მწვავე ბრძოლა გაჩაღდება კალიფორნიის შტატის არჩევნებში.

რასისტების საომარი მზადება

ლონდონი, 29 მაისი. (საკდესი). სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მთავრობამ გადადგა კიდევ ერთი ნაბიჯი, რომლის მიზანია სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის შემდგომი მილიტარიზაცია. რასისტმა ხელისუფლებმა გამოაქვეყნეს მთელი რიგი კანონპროექტები, რომლებიც ითვალისწინებენ მოსახლეობის სამხედრო მომზადების გაძლიერებას, არმიისა და პოლიციის შესანახი ხარჯების გადიდებას 300 მილიონ რანდამდე წელიწადში. მნიშვნელოვანი სახსრები გამოყოფილია აგრეთვე ატომური კვლევის, რაკეტების წარმოების გაფართოებისათვის, ბიოლოგიური და ქიმიური ომის მომზადებისათვის.

გამოქვეყნდა აგრეთვე კანონპროექტი „საქონლის შესყიდვის შესახებ“. ამ კანონპროექტის შესაბამისად შინაგან საქმეთა მინისტრს ფართო უფლებები ეძლევა განახორციელოს კონტროლი საქონლის წარმოების და განაწილებისადმი საგანგებო წესების დროს. პირებს, რომლებიც უარს იტყვიან მინისტრის მითითებათა შესრულებაზე, დააჯარიმებენ ორი ათასი რანდის ოდენობით ან მიუსჯიან ორი წლის პატიმრობას.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ახალი კანონპროექტები მოწმობენ, თუ რა აგრესიული განწყობილებანი აქვთ ამ ქვეყნის რასისტ ვმართველებს აფრიკის დამოუკიდებელი სახელმწიფოების მიმართ.

საპროტესტო მოძრაობა ძლიერდება

ბონი, 29 მაისი. (საკდესი). მიუნხენში, მაინის ფრანკფურტში, ჰანოვერში, გელზენკირხენსა და დასავლეთ გერმანიის მთელ რიგ სხვა ქალაქებში გუშინ გაიმართა საპროტესტო დემონსტრაციები საგანგებო კანონების მიღების წინააღმდეგ, რომელთა უკანასკნელი, მესამე წაკითხვა დღეს და ხვალ გაიმართება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პარლამენტში.

მიუნხენში გამართული საპროტესტო მანიფესტაციის მონაწილე 10 ათასამდე კაცმა მოითხოვა, რომ ბონდესტაგის დეპუტატებმა უარი თქვან დიქტატორული კანონების დამტკიცებაზე.

მიტინგზე ჰანოვერში ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის თავმჯდომარემ პეფელერმა აღნიშნა, რომ საგანგებო კანონები ვერ აღმოფხვრიან უკმაყოფილებას, რომელიც დასავლეთ გერმანიაში იზრდება ოფიციალური პოლიტიკის გამო.

ამ მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც მოითხოვენ საგანგებო კანონმდებლობის მიღების ნაცვლად განახორციელონ დაძაბულობის შენელებისა და განიარაღების, სოციალური რეფორმებისა და დემოკრატიის პოლიტიკა.

იგრძვის მშრომელი საფრანგეთი

პარიზი, 29 მაისი. (საკდესი). მეწარმეთა და მთავრობის დამამორბები აშკარად არსაკმაოა. გაფიცვა გრძელდება, ნათქვამია შრომის საყოველთაო კონფედერაციის განცხადებაში, რომელიც აჯამებს ამ უკანასკნელ დღეებში მთელ საფრანგეთში გამართული მიტინგებისა და კრებების შედეგებს.

შრომის საყოველთაო კონფედერაციამ მოუწოდა ყველა მშრომელს გამართონ დღეს დემონსტრაციები ეროვნულ მუშათა მოთხოვნების მხარდასაჭერად, არსებული რეჟიმის შეცვლისათვის, დემოკრატიის დამყარებისათვის. საფრანგეთის უდიდესი პროფცენტრის ამ მოწოდებას მხარი დაუჭირა საფრანგეთის კომუნისტურმა პარტიამ.

სიძვირის ზრდა

ვაშინგტონი, 29 მაისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებულ შტატებში კვლავ იზრდება ხიძვირე. სურსათისა და ტანსაცმლის ფასების, აგრეთვე სამედიცინო მომსახურებისა და საყოფაცხოვრებო სამსახურის საფასურის მკვეთრად გადიდების გამო ცხოვრების ღირებულება აპრილში ოთხ პროცენტით გაიზარდა გასული წლის აპრილთან შედარებით. ამას იუწყება ამერიკის შეერთებული შტატების შრომის სამინისტრო.

უსინდისოდ ყალბი

პარტიული ცხოვრება

ახალი ფორმების ძიებაში

მეტალურგთა და ქიმიკოსთა ქალაქის—რუსთავის მრეწველობამ გადამეტებით შეასრულა გასული სამეურნეო წლისა და მიმდინარე წლის ოთხი თვის გეგმები. სულ უფრო ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება იმ ვალდებულებათა გასანაღდებლად, რომლებიც შრომითმა კოლექტივებმა ლენინის დაბადების ასი წლისთავის აღსანიშნავად იკისრეს.

ქალაქის მუშათა კლასისა და ინტელიგენციის ავანგარდში კომუნისტები არიან. ისინი პირადი მაგალითით აღაფრთოვანებენ მშრომელთა ფართო მასებს.

პარტიის საქალაქო კომიტეტი ყოველდღიურად აუმჯობესებს პარტიის საფუძვლის — პირველადი ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობას. იგი ახლა გაცილებით მეტ უურადღებას აქცევს ქალაქის ეკონომიკის უველაზე მნიშვნელოვან, პერსპექტიულ საკითხებს, მთლიანად პარტიული მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფას. ამაღლდა ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა არა მარტო საწარმოო მაჩვენებლებისათვის, არამედ ადამიანთა მუშაობისათვისაც.

პარტიის საქალაქო კომიტეტის მოღვაწეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უბანია პარტიაში მიღება და ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობა. ამ საქმიანობას საფუძვლად დაუდეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ბარკოვის ოლქის პარტიული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ, შარშან ქალაქის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა პარტიაში მიიღეს 281 კაცი, რომელთაგან 201 მუშაა. პარტიის რიგების შევსების მთავარი რეზერვი ახალგაზრდობაა. უკანასკნელ ორ წელში პარტიის რიგებში მიგიღეთ 311 ახალგაზრდა. ამჟამად ქალაქის მრავალათასიან კომუნისტთა არმია გაერთიანებულია 108 პირველადს, 148 საამქრო პარტიულ ორგანიზაციასა და 196 პარტიულ ჯგუფში. საქალაქო კომიტეტის შემადგენლობაში შედის ოთხი პარტიული კომიტეტი, აქედან ორი — მეტალურგიული ქარხნისა და „ამიერკავკასიის მეტალურგმშენის“ ტრესტის პარტიული კომიტეტები სარგებლობენ რაიონული კომიტეტების უფლებებით.

საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრები და აპარატის მუშაკები რეგულარულად იმყოფებიან პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში, ადგილობრივ პარტიულ ძალებთან ერთად ოპერატიულად წყვეტენ საჭირბოროტო საკითხებს, ან ამზადებენ მათ საქალაქო კომიტეტის ბიუროს განსახილველად.

სისტემატურად უმჯობესდება ბიუროს სხდომებსა და პლენუმებზე განსახილველი საკითხების შომზადება, ამ საქმეში მონაწილეობს ფართო აქტივი. პრაქტიკაში გვაქვს პლენუმის მოწვევამდე მოხსენების წინასწარ დაგზავნა. ამ შემთხვევაში საკითხის განხილვას პირდაპირ დახსწრეთა აზრის ურთიერთგაზიარებით ვიწყებთ.

მეტალურგიული ქარხნის, „ამიერკავკასიის მეტალურგმშენის“ ტრესტის და ამწყმშენებელი ქარხნის პარტიულ ორგანიზაციებში პარტიული კრებები კომუნისტთა აღზრდის ნამდვილ სკოლას წარმოადგენენ. კრებები ორგანიზებულად, მაღალ დონეზე ეწყობა. მიღებული დადგენილებებიც კონკრეტულია და ნათლად ასახავენ პარტიული ორგანიზაციების წინაშე მდგომ ამოცანებს.

დიდი უურადღება ექცევა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების აღზრდასა და დახელოვნებას.

საქალაქო კომიტეტთან, აგრეთვე მსგავს პარტიულ კომიტეტებთან შექმნილია და მუშაობენ პარტორგანიზაციების მდივნების სკოლები. სისტემატურად ეწყობა პარტიული ჯგუფების ხელმძღვანელთა სემინარები. პარტიის საქალაქო კომიტეტი მუდმივად ზრუნავს პარტორგანიზაციების მდივანთა შემადგენლობის ხარისხობრივი გაუმჯობესებისათვის. 108 მდივნიდან 55 უმაღლესი განთლებით არის, დანარჩენებს კი — დაუმთავრებელი უმაღლესი და საშუალო ცოდნა აქვთ.

პარტიის საქალაქო კომიტეტი ხელმძღვანელობს ეკონომიკურ ორგანიზაციებს. ეს ეს საერთო წარმატებათა საწინდარია. მოვიყვან ასეთ ფაქტს. 1966 წელს ქიმიური კომბინატი ერთ-ერთ ჩამორჩენილ საწარმოდ ითვლებოდა. კომბინატის ხელმძღვანელები ჩამორჩენას „ობიექტური მიზეზებით“ ხსნიდნენ და არ ზრუნავდნენ შიდა რეზერვების ამოქმედებისათვის. ძალგრამ ახლა აქ სულ სხვა მდგომარეობაა. გადამეტებით სრულდება როგორც მინერალური სასუქების, ისე კაპროლაქტამის წარმოების გეგმები. ეს წარმატებები განაპირობა კადრებთან მუშაობის გაუმჯობესებამ, ადამიანთა პოლიტიკურმა და ტექნიკურმა სიმწიფემ, პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებამ.

მარტენის, კოქსქიმიური, მილსაგლინავი, მილადგილის, სარემონტო-მექანიკური, აგლომაბრძმედი და სხვა საამქროთა პარტიული ორგანიზაციები რაზმაევ კომუნისტებსა და უპარტიო მასებს ქარხნის წინაშე დასახული ამოცანების შესასრულებლად. ასე, მაგალითად, ამას წინათ მილსაგლინავ საამქროში შეიქმნა სახელმწიფო გეგმის შეუსრულებლობის საფრთხე. საამქროს მაჩვენებელი (მდივანი ო. ჯაველიძე) მოაწყო ლია პარტიული კრება, რომელზეც მოიწვია ქარხნის ხელმძღვანელები და ქარხნის სამმართველოს განყოფილებათა უფროსები. ამ კრებაზე გულახდილი სჯა-ბაასი გაიმართა ჩამორჩენის მიზეზებზე. კომუნისტებმა პირუთვნელად ამხილეს ის ადამიანები, რომლებმაც შეასუსტეს ზრუნვა დანადგარ-მოწყობილობათა მოვლა-პატრონობისადმი. მათ განსაკუთრებით გაუუვეს ხაზი იმას, რომ არანორმალური ტემპის, შენახვის წესების, სასმელის მოხმარების ნორმების, ჯანმრთელობისათვის მისი მნიშვნელობის შესახებ; ჩაის სახლის — როგორც სასარგებლო სასმელის პროპაგანდის ერის ფუნქციების შესახებ; მაღაზიებისა და საზოგადოებრივი კვების ქსელში ჩაის გაყიდვის უკეთ ორგანიზაციის შესახებ, სემინარის მონაწილენი ყველაფერს იწერდნენ უბის წიგნაკებში. ხოლო შეკითხვების სიმრავლე, რომლებსაც აძლევდნენ მომხსენებლებს, მოწმობდა, რომ მაღაზიების, სასადილოების, კაფეების მუშაკებს ნამდვილად ესაჭიროებათ რჩევა-დარიგება, თუ როგორ გაყიდონ ჩაი, რათა უკეთ მოემსახურონ ჩაის მოყვარულ მოსკოველებს.

უნდა აღინიშნოს ის ფასდაუდებელი დახმარება და გაწეწყვეტელი მხარდაჭერა, რაც იგრძნეს „ჩაის დღეების“ ორგანიზატორებმა ქალაქ მოსკოვის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხრივ. ამან უზრუნველყო ის, რომ „ქართული ჩაის დღეები“ ჩატარდა მაღალ დონეზე. ამ ღონისძიებებმა მონაწილეობდნენ დედაქალაქის საწარმოებისა და დაწესებულებების წარმომადგენლები.

ქართული ჩაისადმი მოსკოველთა დიდი ყურადღება აღინიშნა პირველ დეგუსტაციაზე ქალაქ „ლირაში“ მოსკოვის მწარმოებლთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ლ. ფირნბინმა.

— ნება მიბოძეთ მოსკოვის საბჭოსა და აქ შეკრებილ ყველა დამსწრის სახელით მხურვალედ მივესალმო ძვირფას სტუმრებს, რომელიც ჩამოვიდნენ საქართველოდან „ქართული ჩაის დღეებზე“. და გულწრფელ მათ სასალამოდ და საუარგლოდ გაეტარებინოთ დრო. მოსკოვში.

მოსკოველები მოხარული არიან გაეცნონ ქართულ ჩაის, ამ შეასანიშნავ სასმელს.

„ქართული ჩაის დღეებს“ მაღალი შეფასება მისცა სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა რ. დენმენტი

საერთაშორისო სხოვრება

მსოფლიოს დეპეშათა სააგენტოები იუწყებიან

იქმნება „მოქმედების კომიტეტები“

პარიზი, 28 მაისი. საკადესის კორესპონდენტი ი. პონომარიოვი გვატყობინებს:

უმაგალითო გაქანების გაფიცვის ფონზე, რომელიც მთელ საფრანგეთს მოედო, დღითიდღე ფართოვდება მოძრაობა დემოკრატიული ერთობის სახალხო მთავრობის შექმნისათვის.

საფრანგეთში შეიქმნა ასობით „მოქმედების კომიტეტი“, რომლებშიც შედიან სხვადასხვა პოლიტიკური მრწამსის ადამიანები, დემოკრატიული ძალების წარმომადგენლები: კომუნისტები, დემოკრატიული და სოციალისტური მემარცხენე ძალების ფედერაციის წევრები, პროფკავშირული მოღვაწეები, „მოქმედების კომიტეტები“, რომლებიც საწარმოებში, დაწესებულებებში, სასწავლებლებში იქმნება, მოუწოდებენ რაც შეიძლება მალე მიაღწიონ მემარცხენე ძალების ერთობას არსებული რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ცნობები ახალი კომიტეტების შექმნის შესახებ დღეს მოვიდა ლონდონიდან, მარსელიდან, ბორდოდან, ენდრის, ვალ-დე მარნის, რონის, ესონის დეპარტამენტებიდან. მარტო ამ ბოლო დროს პარიზსა და მის გარეუბნებში შეიქმნა ათობით „მოქმედების კომიტეტი“.

პარიზის გარეუბან ბულონ-ბიანიკურის „რენოს“ ქარხნებში შეიქმნა ოცდაათი „მოქმედების კომიტეტი“. კომიტეტების დელეგაცია ეწვია დემოკრატიული და სოციალისტური მემარცხენე ძალების ფედერაციის ხელმძღვანელობას და გადასცა ავტომობილმშენებელთა მიმართვა, რომელშიც მოუწოდებს დემოკრატიული და სოციალისტური მემარცხენე ძალების ფედერაციის პოლიტბიუროს რაც შეიძლება მალე უპასუხოს საფრანგეთის კომპარტიის მოწოდებას ამ ორი პოლიტიკური ორგანიზაციის წარმომადგენლთა შეხვედრის შესახებ, რაც უნდა გაიმართოს იმ მიზნით, რომ მიაღწიონ მოქმედების ერთობას დემოკრატიული ერთობის სახალხო მთავრობისათვის ბრძოლაში.

გაფიცნენ დეპეშათა სააგენტოს მუშაკები

პარიზი, 29 მაისი. (საკადესი). რადიოსა და ტელევიზიის მუშაკებს, რომლებიც უკვე მოთვალწილეობენ გაფიცვაში, 28 მაისს ღამით შეუერთდნენ საფრანგეთის სატელეგრაფო სააგენტოს ფრანს პრესის დეპეშათა სააგენტოს მუშაკები. ფრანს პრესის სააგენტომ შეწყვიტა ამბების გადაცემა როგორც საფრანგეთში, ისე საზღვარგარეთ.

იზრდება კომპარტიის რიგები

პარიზი, 28 მაისი. (საკადესი). გაზეთი „ლუმანიტე“ იუწყება, **რომ პარიზის რაიონში უკანასკნელი ნახევარი თვის მანძილზე საფრანგეთის კომუნისტურ პარტიაში 2.200 კაცი შევიდა.** ამავე დროის მანძილზე პარიზსა და მის გარეუბნებში შეიქმნა საფრანგეთის კომპარტიის 18 ახალი უჯრედი. პარტიაში ახალი ძალების მოზღვავება, აღნიშნავს „ლუმანიტე“, შედეგი და მაჩვენებელია საფრანგეთის კომპარტიის აქტიური როლისა ბრძოლაში, რომელიც ამ დღეებში გაშალეს ფრანგმა მშრომელებმა ცხოვრებისა და შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის.

გადადგა განათლების მინისტრი

პარიზი, 28 მაისი. (საკადესი). პრემიერ-მინისტრმა ჟორჟ პომპიდუმ დღეს გამოაცხადა, რომ გადადგა განათლების მინისტრი ალენ პეირეფიტი. მან იმედი გამოთქვა, რომ ეს გადადგომა ხელს შეუწყობს სტუდენტთა წრეში „აზრთა დამშვიდებას“.

ისრაელ ოკუპანტთა თავხედობა

ბეიროუთი, 28 მაისი. (საკადესი). „არაბი მოსახლეობის მდგომარეობა იერუსალიმში, — წერს ლიბანის გაზეთი „ალ-ჯარიდა“, — სულ უფრო აუტანელი ხდება. ისრაელმა ხელისუფლებამ ხელთ იგდებს უძრავი ქონება და მიწები, რომლებიც წინათ ქალაქის არაბ და სომეხ მცხოვრებლებს ეკუთვნოდათ. აგრესორები ახდენენ არაბული მიწების კონფისკაციას საზოგადოებრივ საგებობათა მშენებლობისათვის მათი გამოყენების საბაბით, მაშინ, როცა ამ მიწებზე იქმნება დასაყრდენი პუნქტები და საბანდო ნაგებობანი“.

ასე „უპასუხებენ ისრაელის საოკუპაციო ხელისუფალნი, აღნიშნავს გაზეთი, უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებას, რომელიც უაოყოფს მათს განზრახვას შეცვალონ იერუსალიმის სტატუსი“.

ურტყამენ კოლონიზატორებს

დაკარი, 29 მაისი. (საკადესი). „პორტუგალიის“ გვინეის განთავისუფლების არმიის მებრძოლებმა მაისის განმავლობაში მოსპეს პორტუგალიელ კოლონიზატორთა 90 ჯარისკაცი და ოფიცერი. ეს აღნიშნულია აქ გამოქვეყნებულ კომუნიკეში.

პატრიოტებმა, რომლებიც იბრძვიან პორტუგალიის კოლონიური ბატონობისაგან თავიანთი ქვეყნის განთავისუფლებისათვის, აღნიშნულია კომუნიკეში, გაანადგურეს მთელი რიგი გამაგრებული ბანაკები, ხელთ იგდეს საომარი მასალა და საჭურველი.

ბონი თვალთვალებს

ბერლინი, 29 მაისი. (საკადესი). იღებს რა საგანგებო კანონებს, ბონი ამით გაბატონებულ რეჟიმს აძლევს ყოველგვარ შესაძლებლობას გამოიყენოს პოლიციური ხელსაწყოები საყოფაცხოვრებო საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ და ყოველი პროგრესული მოძრაობის ჩახშობად, განაცხადა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ოტო ვინცერმა იმასთან დაკავშირებით, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბუნდესტაგში მესამე კითხვით იხილავენ საგანგებო კანონებს.

ადენ-ის საგენტოსადმი ინტერვიუში ოტო ვინცერმა „წმინდა წყლის თვალთმაქცობა“ უწოდა ბონის მთავრობის მტკიცებას, თითქოს საგანგებო კანონმდებლობა „სრულ სუვერენიტეტს ანიჭებდეს ფედერაციულ რესპუბლიკას“.

ამერიკული „საშოთხეში“

მილიარდერები და ღარიბთა ლაშქრობა

ამერიკული კონტრასტები

როგორი ქვეყანაა ამერიკა? როგორ ცხოვრობენ ამერიკელები?

ასეთ კითხვებს ყოველთვის უსვამენ ამერიკის შეერთებულ შტატებიდან ჩამოსულ ადამიანებს.

ეს გასაკვირველიც არ არის. აშშ დღეს ყველაზე ძლიერი და ყველაზე მდიდარი კაპიტალისტური ქვეყანაა.

იყო და არის რამდენიმე ძველთაძველი მიზეზი, რომლებიც მეორე ამერიკას უხილავ მხარედ ხდიან.

სიღატაკე ჩვეულებრივ შარაგზიდან მოშორებით ბუდობს. ასე იყო ყოველთვის. ასეა დღესაც. რიგითი ტურისტი იშვიათად გადადის გზატკეცილიდან, ის პირდაპირ ავტომაგისტრალებით მოგზაურობს ქალაქიდან ქალაქში.

ვინც დაუკვირდება ამ ქვეყანას, იხილავს ორ ამერიკას. იხილავს ღარიბებსა და მდიდრებს, მშვიდობიანსა და მაძღრებს, კაპიტალისტებსა და პროლეტარებს.

* * *

უკაუბდო რა ნამდვილი ადამიანური გრძნობები და მისწრაფებანი, ბურჟუაზიამ არაფერი არ დაუტოვა ადამიანებს კაცობრიობა და სტანდარტულ-სათვის, გარდა შიშველი მატერიალური ინტერესებისა. ის პატივს სცემს და ეთაყვანება მხოლოდ ერთ კერპს — ფულს, მოგების კერპს, ყველაფერი ერთ მისწრაფებას ემორჩილება. — ეს მისწრაფებაა — გაკეთონ ფული, რაც შეიძლება მეტი ფული; გაკეთონ ყოველი ღონისძიებით. ის, ვისაც ფული აქვს, ისწრაფვის, რომ ფულმა აკეთოს ფული. ისინი კი, რომლებსაც კაპიტალი არა აქვთ, ყოველი ღონით ცდილობენ შეიძინონ ის.

ამის შესახებ ნათლად და ხატოვნად წერდა მაქსიმ გორკი 1906 წელს, როცა ის ამერიკის შეერთებულ შტატებში იყო.

როცა მწერალი შეეკითხა ერთ-ერთ მილიონერს, თქვენ რა საქმიანობას ეწევითო, მილიონერმა მოკლედ მიუგო: „ფულს ვაკეთებ“.

მწერალის კითხვაზე, თუ რას უშვრება ამდენ ფულს, მან უპასუხა:

— ამით კვლავ ფულს ვაკეთებ...

— რისთვის?

— რათა ისევ ფული ვაკეთო...

— რისთვის? — გაკუმეორე კითხვა.

ის გადმოიხარა ჩემსკენ, იდაყვებით საგარძლის სახელურებზე დაყრდნობილი და გარკვეული ცნობისმოყვარეობით მკითხა:

— თქვენ სულელი ხართ?

— თვითონ თქვენ? — კუპასუხე კითხვით.

ასე იყო 62 წლის წინათ.

ასეა ახლაც.

ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსური კაპიტალის ყველაზე ძლიერი ჯგუფებია მორგანების, როკფელერების, დიუპონების, მელონებისა და სხვათა ჯგუფები.

ყველაზე ძლიერია „მორგანების იმპერია“. მის კონტროლს ექვემდებარება ვეებერთელა თანხის — 91,7 მილიარდი დოლარის აქტივები.

სიძლიერით და გავლენით მეორეა „როკფელერების იმპერია“, რომლის კონტროლსაც ექვემდებარება 81,4 მილიარდი დოლარის კაპიტალი. როკფელერების ოჯახის პირადი ქონება 3,5 მილიარდ დოლარზე მეტია. აღსანიშნავია, რომ მეორე მსოფლიო ომის წინ ის განისაზღვრებოდა მხოლოდ 400 მილიონი დოლარით.

კაპიტალის ოდენობით შემდეგია დიუპონების სალოჯო ჯგუფი. ის განაგებს 20.1 მილიარდ დოლარის აქტივებს. პირადი ქონების მიხედვით ეს ოჯახი უმდიდრესია ამ ქვეყანაში. მისი ქონება განისაზღვრება 4.7 მილიარდი დოლარით, ნაცვლად ომამდელი 574 მილიონი დოლარისა.

აქტივების თანხა, რასაც კონტროლს უწევს მელონების საოჯახო ჯგუფი, 14 მილიარდ 500 მილიონი დოლარია. მისი პირადი ქონება 3 მილიარდ 769 მილიონ დოლარს შეადგენს ომამდელი 391 მილიონი დოლარის ნაცვლად.

თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ფორდების ოჯახს. ამერიკის შეერთებულ შტატებში ფორდებს გაუთვითონ 34 სამრეწველო საწარმო, 21 საამქროობა ქარხანა, 28 უმაღლესი საწყობი მზა ნაწარმისა და სათადარიგო ნაწილებისათვის, 10 საკონტრაქტორო ბიურო, ათობით ადმინისტრაციული შენობა. მაგრამ ამ ქვეყნის ფარგლები ვიწროა ფორდებისათვის. მათი ქარხნები გაბნეულია და შენდება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

როცა 1947 წელს მოხუცი ჰენრი ფორდი გარდაიცვალა, მისი მემკვიდრენი სამრეწველო „იმპერიის“ სათავეში აღმოჩნდნენ. ეს იმპერია აერთიანებდა 150 ათას მუშას და 48 ქარხანას მსოფლიოს 23 ქვეყანაში. ომამდე მათი ქონება შეფასებული იყო 660 მილიონ დოლარად. ამჟამად ფორდების საერთო პირად ქონებას განსაზღვრავენ 1,1-1.2 მილიარდი დოლარით, ხოლო „ფორდის ფონდის“ აქტივებთან ერთად — 3,7-3,8 მილიარდი დოლარით.

ჰენრის ფორდ მეორემ 280 ათას დოლარად ღირებული საღამო გაბარა თავისი 18 წლის ქალიშვილისათვის.

მაგრამ ფორდის „რეკორდმა“ დიდხანს ვერ გაძლო. მელონმა თავის მამულში მალე ფორდის საზღაარო მეჯლისის შემდეგ საზოგადოებაში გამოიყვანა თავისი გერი ელინა. ამ საღამოს მისი ვეებერთელა მამული, რომელშიც თავი მოიყარა მოქეიფე ელიტამ უოლ-სტრიტიდან და ვაშინგტონიდან, გაჩახჩახებული იყო ფეიერვერკებითა და ოქროს მორთულობით. სტუმრებს შორის იყო ჟაკლინი კენედი. ერთი საღამოს ხანმოკლე დახარჯული თანხა ეყოფოდა არა ერთ, არამედ 3-5 ოჯახს იმისათვის, რომ უზრუნველად გაეტარებინა მთელი სიცოცხლე. ბადეში საღამოს განმავლობაში გაშენდა 50 კარვისაგან შემდგარი მდიდრული პატარა ქალაქი მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი სერვისით, რაც 100 ათასი დოლარი დაჯდა. კარვებისაკენ გაყვანილ იქნა სპეციალური, მაგარსაფენიანი გზები, რათა სტუმრებს არ დასჭროდათ ფეხსაცმელი. თუ კი ვერგინიის თბილი ზვიმა წამოვიდოდა. მაგრამ ეს გზები გაყვანილ იქნა მხოლოდ ერთი ღამის ღრეობისათვის, გათენდა თუ არა, ისინი ბულდოზერებით გადათხარეს და დადასუფრეს.

ტეხასის ნავთობის მაგნატების ქონება უმსხვილესია არა მარტო ამერიკაში, არამედ მთელ მსოფლიოში. ხშირად იმართება დავა იმის თაობაზე, თუ რომელია მათ შორის ყველაზე მდიდარი. ამერიკის პრესა არაოფიციალურად უპირატესობას ანიჭებს 72 წლის პოლ ჰეტს. არავინ, ცხადია, თვით ჰეტის გარდა, არ იცის მისი პირადი სიმდიდრის საერთო თანხა. მაგრამ ყველა იმ აზრისაა, რომ ეს თანხა რამდენიმე მილიარდი დოლარია. მაშასადამე, მარტო ჰეტს აქვს იმდენი ქონება, რომელიც მისი რამდენიმე მილიონი თანამოქალაქის ერთობლივ ყოიერ შემოსავალზე მეტია.

ასე ცხოვრობენ და ატარებენ დროს მდიდრები.

უდავოა, აშშ მაღალგანვითარებული ქვეყანაა. შეუძლებელია არ ვანაცვიფროს და არ აღფაფრთოვანოს იმათმა ნიჭმა, ვინც შექმნა 50 და 100-სართულიანი ცათამბჯენები, რომელთაც ურთულესი ტექნიკური ამოცანები გადაწყვიტეს. შეუძლებელია არ აღფაფრთოვანოს ხიდებმა, რომლებიც ასეულ ათასობით ტონას იწონიან და ადვილი გეჩვენებათ. სწორია ისიც, რომ ამერიკელს თავისუფლად შეუძლია იყიდოს ყოველივე, რაც სურს: საბანაო ტრუსიდან იმედი დაკარგა, და მისმა ცოლმა თავი მოიწამლა.

ასეთი ცნობებით აჭრელებულია გაზეთები.

თვითმკვლელობათა რიცხვი იმდენად დიდია, რომ ნიუ-იორკში შექმნილია „თვითმკვლელობათა თავიდან აცილებელი ცენტრი“. ქალაქის სატელეფონო წიგნებში გაჩნდა სიტყვა „თვითმკვლელობა“. ადამიანს, რომელმაც თავის მოკვლა გადაწყვიტა, სთხოვენ წინასწარ დარეკოს ამ სიტყვის გასაწერად აღნიშნული ნომრით. მას უპასუხებს ექიმი ფსიქიატრი (დაწესებულია სადღეღამისო მორიგეობა), რომელიც დინტერესდება მიდებული გადაწყვეტილების მიზეზებით და შეეცდება აზრი შეაცვლევინოს მას. მაგრამ ასეთი ღონისძიებები საჯაროდ შეიცვლ არ იძლევა.

ეიბაერ სტეიტ ბილდინგის 102-სართულიან ცათამბჯენს მსოფლიოს ყველა კუთხეში იცნობენ. თვრამეტი ადამიანი სიცოცხლეს გამოსალმა შენობის ზემო სართულის მოედნიდან ძირს გადაეგორნენი. საჭირო ჯახდა მოეფინასათვის დასაფარი ბადის შემოტანა და ფეიერფოლმასტი აეგნატების შტატის დაერიგება; ისინი შეუმჩნეველად, მაგრამ ყურადღებით აკვირდებიან 30 ათასი ტურისტის სახეს, რომელნიც ყოველ დღე ადიან 102-ე სართულზე. თვითმკვლელობის უკანასკნელი მსხვერპლი იყო ახალგაზრდა ქალი, მაგრამ მისი ვინაობა მაინც ვერ დაადგინეს. მის ჩანთაში ნახეს ერთი დოლარი და 20 ცენტი, მიმოსახილველ მოედანზე ასეთის ბილეთი (1 დოლარი და 20 ცენტი) და ბავშვის წიგნები, რომლებიც, როგორც პოლიციამ დაადგინა, წინაღამეს ეყიდა „მეიზეში“. თვითმკვლელობის ძირითადი მიზეზი, როგორც ჩანს, კარგად ცოდნილია.

პრეზიდენტ ჯონსონს კარგი ეცოდინრების გამო როდი განუცხადებია გასული წლის 30 ნოემბერს: „20 მილიონი ამერიკელი უბადრუკად ცხოვრობს ქალაქის ჯურღმულებში... ჯურღმულებიანი ამერიკა — ეს არის უსახელო ქალაქები ყოველ შტატში. ეს არის ყოველ მხარეს არსებული „ძირი“, სადაც 20 მილიონი ამერიკელი ან ქვეყნის მოსახლეობის 10 პროცენტი ცხოვრობს ქოხმახებში და მუყაოსაგან აგებულ ფაცხებში“.

ბევრი ღარიბთა მოთმინების ფიალა. ამერიკელ ღარიბთა ლაშქრობის ქარავანები კვლავ მიემართებიან ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქ ვაშინგტონისაკენ. პოლიციელები ცდილობენ შეაჩერონ, გარკვევლაშქრობის მონაწილენი. მაგრამ ამაოდ. ჯუალაგზა იმართება სოციალური მასობრივი მიტინგები. ღარიბთა ქარავნები მიიწევენ წინ... თვით ვაშინგტონში კი ლაშქრობის ავანგარდი—500-ზე მეტი მისასალმელი ზანგი გაგარძობის კარიბის „ბანანდოს ქალაქის“ მშენებლობას. აქ დაბინავდებიან ჩამოსული ღარიბთა ლაშქრობის მონაწილენი. ფანერისა და ბრეზენტისაგან გაკეთებულ ქოხებში ჯერ-ჯერ ვერ ჩაწყობენ. პირველი მობინადრენი — ფრანგულად მოხეტიალეული ზანგები მისასალმისა და ალაბამის შტატებიდან.

ღარიბები ითხოვენ ცხოვრების გაუმჯობესებას. უფლებებს, ზანგი, ისევ როგორც ყოველი ამერიკელი მოქალაქე, ვარსკვლავ-ზოლიანი დროშის ერთგულების ფიცს დებს. კონსტიტუციის ყველა მოქალაქეს „თავისუფლებასა და სამართლიანობას ჰპირდება. ზანგი იბადება იმ ქვეყანაში, სადაც, როგორც პრაპაგანდისტები ირწმუნებიან, ყოველ მოქალაქეს შეუძლია პრეზიდენტი გახდეს. მაგრამ ეს ქვეყანა მას ბავშვობიდანვე ამბობს იმ აზრს, რომ ის ზედმეტია, რომ მან უნდა „იცოდეს თავისი ადგილი“, იგი სწავლობს კითხვას, და პირველი, რაც მისი მხედველობის არეში ხვდება, არის შეურაცხმყოფელი წარწერა: „მხოლოდ თეთრებისათვის“.

თავისუფლების ქანდაკების გარეგანი კიდეზე მოუნუნტი. მას თითქმის ყველა ამერიკელი იცნობს: ის აგებულია ვაშინგტონში, ორლინგტონის ეროვნულ სასაფლაოზე, და ადიდებს ამერიკის მეზღვაურს, რომელიც ყანარ ოკეანეზე მამაცურად იბრძოდა მეორე მსოფლიო ომის დაკვიწყარ წლებში. ქანდაკების შექმნას საფუძვლად დაედო ცნობილი ფოტოგრაფია, რომელიც გადაღებულია ომის ბოლოს კუნძულ იოძიმაზე მიმდინარე ბრძოლების დროს. ეკვსი ბრინჯაოს სხეული ამომართავს ვარსკვლავ-ზოლიან დროშას. ეკვსი ფიგურა — ქვეყნის ეროვნული გმირი. ერთ-ერთი მათგანი აირა ჯანი — ამერიკელი ინდიელი. ამ ჯარისკაცის ფაქიაოსსა და მამაცობაზე ბევრს წერდა ამერიკის პრესა.

ყოველი ტურისტული მარშრუტი ითვალისწინებს ამ მონუმენტის ნახვას. ექსკურსანტებს ალაფრთოვანებს ჯარისკაცთა ვმირობაც და მოქანდაკეთა ოსტატობაც. მაგრამ ბიდები სიტყვასაც არ ძრავენ იმის თაობაზე, რომ ამ უკვდავყოფილი მეომრებიდან ერთ-ერთი — აირა ჯანი რამდენიმე წლის წინ წარმოუდგენელ სილარიბეში გარდაიცვალა...

ასეთია ბევრის ბედი ქვეყანაში, სადაც კონტრასტები უსასრულოა.

ფ. მახარაძე.

ფაქტი კომენტარით

სამხედრო პროვოკაცია

ბრიუსელი, 28 მაისი. (საკადესი). ამერიკელმა ლეგენდარმა, რომელიც ევროპაში განლაგებული ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალია, გამოაცხადა, რომ ჩრდილოეთ ნორვეგიაში 3-დან 22 ივნისამდე გაიმართება ნატოს სამხედრო მანევრები კოდური სახელწოდებით „პოლარული ექსპრესი“.

საკადესის კომენტატორი ჟ. ტიუბეანი წერს:

ამით ჩრდილოეთ ნორვეგიის რაიონები უახლოეს დროში გახდება ნატოს დიდი სამხედრო დემონსტრაციის ცენტრი, რომელიც ეწყობა ამერიკის შეერთებული შტატების უშუალო ხელმძღვანელობით.

უცხოთის პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული მონაცემები მოწმობენ უწინარეს ყოვლისა ამ მანევრების ფართო მასშტაბს, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, კანადის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ნორვეგიისა და ბელგიის ნაგენტები. ნატოს სხვა ქვეყნების ქვითი და საავიაციო ნაწილები, საბრძოლო ხომალდები, სადესანტო ჯარების ქვეგანყოფები.

მანევრების რაიონში თითქმის სამ კვირას იმოქმედებს ათასობით ჯარისკაცი და ოფიცერი, ასობით საბრძოლო თვითმფრინავი, ათობით ხომალდი. ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ „პოლარული ეკსპრესის“ მონაწილეთა წინაშე დასახულია ამოცანა შეადგინონ „ნატოს ბობილური ძალების გაშლა სამხედრო ბლოკის უაღრესად დიდმნიშვნელოვან ფლანგებზე“.

ამიტომ მანევრების მსვლელობაში განზრახულია შექმნან „სამაერო ხიდები“ ამერიკის შეერთებული შტატებიდან, კანადიდან, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან და იტალიიდანაც კი, ანუ იგი უზრუნველყონ საჰაერო გზით ამ ქვეყნებიდან ნორვეგიის ტერიტორიაზე საბრძოლო ტექნიკით აღჭურვილი დიდძალი უცხოეთის ჯარების გადაყვანა.

მანევრების დროს და მის შემდეგ ნატოს ქვეყნების სამხედრო-საზღვაო ძალების ხომალდები ეწვევიან ნორვეგიის ნავსადგურებსა და სამხედრო-საზღვაო ბაზებს. ხვალ ტრონჰაიმში ჩამოვა ატლანტიკაში განლაგებული ნატოს ეგრეთწოდებული მუდმივი სამხედრო-საზღვაო ძალების რაზმი, რომლის შემადგენლობაში შედიან ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ნორვეგიისა და ჰოლანდიის საბრძოლო ხომალდები.

ნატოს მოქმედება ჩრდილოეთ ნორვეგიაში მორიგი სამხედრო პროვოკაციაა, რომლის მიზნებს ვერ შენიღბავს ნატოს პროპაგანდის ვერავითარი ხრკები. იწყებს რა მანევრებს, იგრესიული ბლოკის სარდლობა ცდილობს გაძლიეროს დაძაბულობა ევროპის ამ რაიონში.

ფაქტები

□ **ამანი, 29 მაისი.** (საკადესი). დღეს ისრაელის ჯარებმა კვლავ დაარღვიეს შეთანხმება ისრაელსა და იორდანიას შორის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. იორდანიის სამხედრო სარდლობის წარმომადგენელმა დღეს აქ განაცხადა, რომ ისრაელის ჯარებმა არტილერიისა და ტყვიამფრქვევის ცეცხლი დაუშინეს იორდანიის პოზიციებს შეიბ მუშამედის ხიდის სამხრეთით. სროლამ საათზე მეტ ხანს გასტანა. იორდანიის მხარე არ დაზარალებულა.

□ **ვაშინგტონი, 29 მაისი.** (საკადესი). **მოქალაქეობრივი უფლებებისათვის ზანგთა მოძრაობის მასშტაბით შეშინებული ოფიციალური ხელისუფალნი ადიდებენ კოლიციურ ძალებს შეერთებულ შტატებში.** ნიუ-იორკის შემდეგ გადაწყვიტეს ერთი მესამედით გაადიდონ კოლიციელთა კონტინგენტები ვაშინგტონის ქალაქის ხელისუფლებმა. ვაშინგტონის საქალაქო საბჭო უახლოეს დღეებში მიმართავს კონგრესს ქალაქის კოლიციელთა რიცხვის ათასი კაცით გადიდების საკითხზე.

ერთ ულელში

ვაშინგტონი, 29 მაისი. (საკადესი). ავსტრალიის პრემიერ-მინისტრმა ჯონ გორტონმა, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფება, გუშინ ვაშინგტონის პრესის ეროვნულ კლუბში წარმოთქვა სიტყვა და მხარი დაუჭირა ვაშინგტონის აგრესიას ვიეტნამის წინააღმდეგ. მან საზი გაუსვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ავსტრალიის მიზნები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში „სავსებით ემთხვევა ერთმანეთს“

პრემიერ-მინისტრმა გამოთქვა სურვილი გააძლიეროს ავსტრალიის როლი და გავლენა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. ამ მიზნით, თქვა მან, ავსტრალიის მთავრობა კვლავ გაადიდებს შეიარაღებულ ძალებს, მტკიცედ შეასრულებს სეატოსა და ანზიუსის სამხედრო ბლოკებში ნაკისრ ვალდებულებებს.

ყალდიდობის შედეგები

თეირანი, 29 მაისი. (საკადესი). ირანში მომხდარი წყალდიდობის შედეგად ბოლო ხუთ დღეში 80-მდე კაცი დაიღუპა.

როგორც ადგილობრივი პრესა წერს, წყალდიდობამ დაანგრია რამდენიმე ათასი სახლი ხორასანის, ირანის, აზერბაიჯანისა და სხვა პროვინციებში, ათასობით ადამიანი უსახლკაროდ დარჩა.

წყალდიდობამ დიდი მატერიალური ზარალი გამოიწვია.

ამერიკის შეერთებული შტატები. ასე გამოიყურება „ღარიბთა ქალაქი“ ვაშინგტონში ლინკოლნის ძეგლთან. აქ დროებით უკვე 2.500 კაცი ცხოვრობს.

ფოტო იუპა-საკადესისა.





— თქვენ მისამართი შეგეშალათ, ჩვენ ხომ უველაზე მდიდარი ქვეყანა ვართ!

ნახ. ამერიკულ გაზეთ „ვაშინგტონ პოსტიდან“.

ა. დუბჩეკის სტატია „რუდე პრავოში“

პრაღა, 28 მაისი. (საკადესი). „რუდე პრავომ“ გამოაქვეყნა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ა. დუბჩეკის სტატია „კომუნისტები ითანამშრომლებენ ხალხის იმედებს“.

დამამწყრა რა წერილებში, რეზოლუციებში, პეტიციებში გამოთქმული აზრი, ა. დუბჩეკმა აღნიშნა, რომ ჩეხოსლოვაკიის დიდი უმრავლესობა თავის იმედებს უკავშირებს კომუნისტების პოლიტიკას, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის პოლიტიკას. ეს ჩვენ, კომუნისტური პარტიის ყველა წევრს გვაკისრებს, ნათქვამია სტატიაში, დიდ ვალდებულებას. ჩვენი უნარი და ძალები მოვახმაროთ ახალ ამოცანებს, კიდევ უფრო განვავითაროთ საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნის საქმე.

შეეცნოს საზოგადოებრივი სინამდვილე, ასპარეზი გადაეშალოს პრობლემების საქმიან გადაჭრას, შეხედულებათა გაზიარებას, ადამიანების აქტივობას ცხოვრების ყველა დარგში, იყოს მოწინავე პოლიტიკური მოდგაფე, რომელიც მუდამ ასწავლის სხვას და სწავლობს თვითონ, რომელსაც უყვარს ადამიანები და მათ შორის გამობატავს პარტიის პოლიტიკას, — ეს არის პარტიის წევრის როგორც სოციალისტური ცხოვრების მოწინავე შემოქმედის ამოცანა და მისია. ეს არის მისი მუდმივი, დღეისათვის კი აუცილებელი მოვალეობა.

კრიტიკა და თვითკრიტიკა, რაც ჩვენ განვახორციელეთ, წერს ა. დუბჩეკი თავის სტატიაში, არ შეძლებია, გაეგოთ როგორც ასეულ ათასობით და მილიონობით ადამიანის შრომის გაფფასურება, როგორც იმ ათასობით პატიოსანი კომუნისტის თავდადებული მუშაობის დაკარგვა, რომლებიც ერთგულნინდისიერად და უდიდესი თავდადებით უწყობდნენ ხელს სოციალისტურ ცვლილებებს, რომლებმაც თავისი ნებით დაიქირავეს პირადი ინტერესები საზოგადოებრივ ინტერესებს. იმას, ვისაც კრიტიკა ასე ესმის, აქვს უპატიოსნო ზრახვები, ამახინჯებს სამართლეს, ანელებს განახლების სოციალისტური პროცესის განვითარებას. სამართლიანად უჭერენ მხარს და კვლავაც დაუჭერენ მხარს პარტიის ყველა წევრს, რომლებიც თავდადებულად ასრულებენ და ასრულებენ თავიანთ საზოგადოებრივ ფუნქციებს და რომელთა შრომას საზოგადოების სასარგებლოდ კვლავაც დაფასებენ მათი თანამოქალაქენი. თუ არა კომუნისტური პარტია, რომლის რიგებში თავმოყრილია საზოგადოების ყველაზე შემოქმედებითი ძალები — მუშები, გლეხები, გონებრივი შრომის მუშაკები, თუ არა მისი წევრების მუშაობა, შეუძლებელია უბრუნველყოფ ოთ თანამიმდევრულად დემოკრატიული, სოციალისტური საზოგადოების ჩამოყალიბება, შეუძლებელია შეავასრულოთ ის იმედები, რომლებსაც ხალხი უკავშირებს სოციალისტურ განვითარებას. წამყვანი როლი, რომელიც სამართლიანად მოიპოვა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურმა პარტიამ და რომელსაც მომავალშიც შეასრულებს, ჩეხოსლოვაკიის საზოგადოებას სოციალისტური განვითარების პირობაა. მხოლოდ პარტიას, რომელიც ხელმძღვანელობს მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებით, ნათქვამია სტატიაში, უნარი შესწევს გაუძღვეს მუშათა კლასს და მშრომელებს სოციალისტური გზით წინ კომუნიზმისაკენ.

ა. დუბჩეკის სტატიაში შემდეგ ნათქვამია: საჭიროა დავიცვათ სოციალიზმის არსი — სოციალისტური საზოგადოებრივი საკუთრება, საზოგადებრივი განვითარების მარქსისტული პროგრამა, რომელიც კომუნისტური პარტიის საქმიანობის საფუძველია, სოციალისტური ჰუმანიზმი, სოციალიზმი, ეროვნული ინტერნაციონალიზმის პრინციპი, რომელიც საფუძვლად უდევს საბჭოთა კავშირთან და სოციალისტური სისტემის ქვეყნებთან ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მტკიცე მეგობრობას.

ხალხის ნდობა და იმედები რომ გავამართლოთ, ეს იმედები ყველა ჩვენგანის მონაწილეობით მიზანსწრაფულად რომ განხორციელდეს, წერს ა. დუბჩეკი, პარტიასა და საზოგადოებაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ჩვენი პროგრამის პოზიტიურ რეალიზაციას. მან რწმენა გამოთქვა, რომ კომუნისტური პარტიის აქტიური, პოზიტიური პოლიტიკის, ეროვნული ფრონტის ყველა შემადგენელი ნაწილის მეცადინეობით შეიქმნება ხალხის ერთიანი ფრონტი, რომ ყოველგვარი ბოროტგანზრახული ცდები, რომლებიც წარმოიშობა მის გარეთ და მიმართულია მისი ინტერესების წინააღმდეგ, იზოლირებულად გაისმის და უცხოა ჩეხოსლოვაკიის საზოგადოებისათვის.

ა. დუბჩეკმა მოუწოდა პარტიის ყველა წევრს, ყველა მოქალაქეს გააერთიანონ ძალები ჩეხოსლოვაკიის წინაშე დასახული ამოცანების შესრულებისათვის.

კომუნისტი

მე-3 გვერდი, ხუთშაბათი, 30 მაისი, 1968 წ.

თათბირობენ კრიტიკოსები

„კომუნისტის“ ინტერვიუ

თანამედროვე ლიტერატურული კრიტიკის მდგომარეობასა და ამოცანებს უძღვნება საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის კრიტიკოსთა და ლიტერატურათმცოდნეთა რეგიონალური თათბირი, რომელიც 29 მაისს გაიხსნა აზერბაიჯანის მწერალთა კავშირის ნატავანის სახელობის კლუბში. თათბირის მუშაობაში მონაწილეობენ აგრეთვე რუსეთიდან და უკრაინიდან ჩამოსული სტუმრები.

თათბირის პრეზიდიუმში იყვნენ აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ი. ახუნდოვი, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი დ. ბ. ჯაფაროვი, აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბ. ა. კუსეინოვი.

აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა დ. ბ. ჯაფაროვმა წაიკითხა აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება თათბირის მონაწილეებისადმი.

სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი, აზერბაიჯანის მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი მირზა იბრაჰიმოვი გულთბილად მივესალმა ამიერკავკასიის რესპუბლიკების, რუსეთისა და უკრაინის ლიტერატურათა წარმომადგენლებს, რომლებიც თათბირში მონაწილეობენ.

მოხსენება თანამედროვე ლიტერატურული კრიტიკის მდგომარეობისა და ამოცანების შესახებ გააკეთა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა ბ. ოსტროვმა. თანამედროვე აზერბაიჯანული ლიტერატურული კრიტიკის განვითარების პრობლემებს მიუძღვნა მოხსენება ს. ასკადელიმმა. მოხსენება თანამედროვე კრიტიკის მეთოდოლოგიის შესახებ გააკეთა სომეხმა ლიტერატურათმცოდნემ ს. სარინიანმა. (აზდესი).

კრიტიკოსთა ამ მნიშვნელოვანი თათბირის შესახებ გაზეთ „კომუნისტს“ კორესპონდენტს მოუთხრო თათბირის მონაწილემ, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა **ბესარიონ ჭელიძემ.**

თათბირი მოწვეულია სსრ კავშირთან არსებული მწერალთა კავშირთან არსებული ლიტერატურული კრიტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის საბჭოს ინიციატივით. მისი ძირითადი დანიშნულებაა გაარკვიოს საბჭოთა ლიტერატურის, კერძოდ ამიერკავკასიის რესპუბლიკების ლიტერატურათა თანამედროვე მდგომარეობა და გააშუქოს ჩვენი ლიტერატურული კრიტიკის განვითარების უახლესი პერსპექტივები იმ ამოცანათა თვალსაზრისით, რომლებსაც სახავენ ჩვენი იდეოლოგიის ყოველი დარგისა და, კერძოდ, ლიტერატურისა და ხელოვნების წინაშე სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამრილის პლენუმის გადაწყვეტილებანი.

პლენუმის დადგენილების მიხედვით განსაკუთრებული მოვალეობა ეკისრება კრიტიკას, რომელიც მოწოდებულია მხარი დაუჭიროს ჩვენს მწერლობასა და ხელოვნებაში ყოველივე ჯანსაღსა და მოწინავეს, ნამდვილად ნოვატორულს, ყოველივე იმას, რაც მოაწყვავებს სოციალისტური რეალიზმის შემოქმედებითი მეთოდის შემდგომ გაღრმავებასა და დამკვიდრებას ჩვენს მხატვრულ კულტურაში, ჩვენი თანამედროვეობის დიად მოვლენათა სიმართლით გამოსახვას მაღალმხატვრულ სახეებში.

საქართველოდან ბაქოს თათბირში მონაწილეობს კრიტიკოსთა და ლიტერატურათმცოდნეთა დიდი ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში არიან გ. ასათიანი, გ. გვერდწითელი, ვ. ზამბახიძე, ლ. კალანდაძე, გ. კანკავა, გ. მარგველაშვილი, გ. მერკვილაძე, ო. პაპკოლია, შ. რადიანი, ა. ქუთელია, შ. ჩიჩუა, გ. ციციშვილი, ი. წულუკიძე, გ. ხუბაშვილი, გ. ჯიბლაძე.

მე დამევალა მოხსენება ქართული ლიტერატურული კრიტიკის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ. ჩემი ძირითადი ამოცანა ის არის, რომ ამ დიდ ფორუმს (ასეთი ფართო წარმომადგენლობითი შეკრება ლიტერატურათმცოდნეობის საკითხებზე კარგახანია არ მოწყობილა) გავაცნო ის მუშაობა და შემოქმედებითი წარმატებები, რაც მიღწეულია ბოლო წლებში ჩვენი მხატვრული კულტურის ამ უაღრესად მნიშვნელოვან დარგში. რასაკვირველია, ამასთანავე ლაპარაკი გვექნება იმ საპრობლემო საკითხების ირგვლივ, რომლებიც დღეს განსაკუთრებით აქტუალური ქართული კრიტიკისათვის.

ქართული ლიტერატურის კრიტიკოსები დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ბაქოს თათბირს, სადაც შეეხებიან ჩვენს კოლეგებს ამიერკავკასიისა და სხვა მოძმე რესპუბლიკებიდან. მათთან გულახდილი, პრინციპული საუბრები და აზრთა ურთიერთგაზიარება უეჭველად გაამდიდრებს ყოველ ჩვენგანს და დაგვრაზმავს იმისათვის, რომ უფრო აქტიურად ვიბრძოლოთ ჩვენი ლიტერატურის ახალი იდეურ-შემოქმედებითი აღმავლობისათვის, რასაც ასე დაბეჯითებით მოითხოვს ჩვენი ხალხის, პარტიის ინტერესები საერთაშორისო სარბიელზე ამყარად გამწვავებული იდეოლოგიური ბრძოლის ვითარებაში.

„კომუნისტის“ ინტერვიუ

შეკითხვა: ვმუშაობ ქარხანაში და ვსწავლობ პოლიტექნიკური ინსტიტუტის საღამოს ფაკულტეტზე. რამდენი დღის სასწავლო შვებულება შეეკუთვნის გამოცდების ჩასაბარებლად მეოთხე და მეხუთე კურსებზე?

ნ. ბუმლაძე,
ქ. თბილისი.

პასუხი: მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც წარჩინებით სწავლობენ საღამოს უმაღლეს სასწავლებლების პირველ და მეორე კურსებზე, ლაბორატორიული სამუშაოების შესასრულებლად, აგრეთვე ჩათვლებისა და საკურსო გამოცდების ჩასაბარებლად, თავიანთ სამუშაო ადგილზე ხელფასის შენარჩუნებით ეძლევათ სასწავლო შვებულება 20 კალენდარული დღის ხანგრძლივობით, ხოლო მესამე და შემდეგ კურსებზე — 30 კალენდარული დღის ხანგრძლივობით.

შეკითხვა: ვმუშაობდი ჭიათურაში, ლენინის სახელობის მაღაროში წყალსადენის ზეინკლად. მარკანტრესტის სამმართველომ ჩემი თანხმობის მიუცემლად გადამიყვანა სამუშაოდ სხვა მაღაროში, რამაც გამოიწვია ჩემი ხელფასის შემცირება (ადარ მეძლევა წელთა დამსახურების გასამრჯელო). მაქვს თუ არა უფლება მოვითხოვო ლენინის სახელობის მაღაროში სამუშაოდ დაბრუნება?

შ. ჭანკვეტაძე,
ქ. ჭიათურა.

პასუხი: შრომის კანონი კოდექსის 37-ე მუხლის შესაბამისად მუშაკის გადაყვანა ერთი დაწესებულებიდან ან საწარმოდან სხვა დაწესებულებასა ან საწარმოში დასაშვებია მხოლოდ თვით მუშაკის თანხმობით. ლენინის სახელობის მაღაროდან სხვა მაღაროში თქვენი სამუშაოდ გადაყვანა შეიძლებოდა მხოლოდ თქვენი თანხმობის შემდეგ. თუ გადაყვანაზე თქვენი თანხმობა არ ყოფილა, შეგიძლიათ შრომითი დაცვის განხილველ კომისიაში დასვათ საკითხი ლენინის სახელობის მაღაროში იმ სამუშაოზე აღდგენის შესახებ, სადაც გადაყვანამდე მუშაობდით.

შეკითხვა: სახელმწიფო პენსიის დანიშვნისას სარგებლობს თუ არა რაიმე უპირატესობით ის პირი, რომელიც 30 წლის განმავლობაში ასრულებდა დონორის ფუნქციებს?

ა. რაზმაძე,
ბორჯომი.

პასუხი: სახელმწიფო პენსიის დანიშვნას მარტო დონორის ფუნქციების შესრულებისათვის კანონი არ ითვალისწინებს. მხოლოდ თუ დონორის ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებით მუშამ ან მოსამსახურემ მიიღო ინვალიდობა, იმ შემთხვევაში მას სახელმწიფო პენსია დაენიშნება იმ პირის თანაბრად, რომლის ინვალიდობა გამოწვეულია შრომითი დასახიჩრებით. ამასთანავე კი დონორის ფუნქციების შესრულებას ხანგრძლივობას მნიშვნელობა არა აქვს.

შეკითხვა: რამდენი კილოვატსაათი ელექტროენერგია გვერგება სოფლად მომუშავე მასწავლებლებს ბინის უფასო გათბობა-განათებისათვის? რა ღირს 1 კილოვატ-საათი ელექტროენერგია (ჩვენ გვაძლევენებენ 6 კაპიკს)?

ბ. ქავთარაძე, რ. დეკანოიძე, ი. შუკაკიძე,
საჩხერის რაიონი.

პასუხი: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 3 მარტის № 156 დადგენილებმ თანახმად, სოფელ ადგილებში მასწავლებლებს და მათთან ერთად მცხოვრებ მათი ოჯახის წევრებს უფასოდ ეთმობათ ბინები გათბობა-განათებით მოცემულ ადგილს მოქმედი ნორმების მიხედვით. ბინების გათბობა-განათებით (მიუხედავად იმისა, წარმობს იგი ელექტროენერგიით თუ სხვა საშუალებით) მასწავლებელთა უზრუნველყოფა ხდება იმ ნორმების შესაბამისად, რომლებიც მოცემული ადგილისათვის (სოფლისათვის) არის დაწესებული. მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული ტარიფის მიხედვით 1 კილოვატ-საათი ელექტროენერგიით სარგებლობისათვის გადახდება არა 6, არამედ 4 კაპიკი.

შეკითხვა: ქმართან ერთად ცხოვრობდი შვიდი წელი. განქორწინების შემდეგ სასამართლომ ბავშვი მე დამიტოვა აღსაზრდელად და ბავშვის მამას დააკისრა ალიმენტის გადახდა, ხოლო ქონება და ბინა კი არ მომაკუთვნა. მაქვს თუ არა ქონების და ბინის მიღების უფლება?

დ. სიხარულიძე,
ქ. გაგრა.

პასუხი: მეუღლეთა ის ქონება, რომელიც თვითეულ მათგანს ქორწინებამდე ჰქონდა, რჩება მათ განცალკევებულ, პირად ქონებად. ქორწინების შემდეგ შეძენილი ქონება კი ითვლება მეუღლეთა თანაბარი ქონებად და ორივე მეუღლეს თანასწორ წილად ეკუთვნის. ამრიგად, თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ ის ქონება, რაც ქორწინებამდე გეკუთვნოდათ და აგრეთვე იმ ქონების ნახევარი, რაც ქორწინების შემდეგ ქმართან ერთად შეიძინეთ. რაც შეეხება ბინას, თქვენ შეგიძლიათ დააყენოთ საკითხი იმ საცხოვრებელი სადგომიდან ფარობის გამოყოფის შესახებ, რომელშიც ქმართან ერთად ცხოვრობდით. თუ სახალხო სასამართლომ განიხილა ეს საკითხები და გამოიტანა გადაწყვეტილება, რომელსაც თქვენ არ ეთანხმებით, უფლება გაქვთ გასაჩივროთ იგი ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში.

შეკითხვა: ვარ III ჯგუფის ინვალიდი. ქმარი დაეღუპა დიდ სამამულო ომში. მაქვს 25 წლის მუშაობის სტაჟი, გამოათავისუფლეს სამუშაოდან შტატების შემცირების საბაბით, სინამდვილეში კი შტატების შემცირებას ადგილი არ ჰქონია. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა 1967 წლის 31 აგვისტოს გამოიტანა დადგენილება ჩემი სამუშაოზე აღდგენის შესახებ, რაც ადმინისტრაციამ არ ასრულებს. როგორია პასუხისმგებლობა სამუშაოზე აღდგენის შესახებ სასამართლოს დადგენილების შეუსრულებლობისათვის?

მ. გიგილაშვილი,
ყვარლის რაიონი.

პასუხი: ადმინისტრაციას ეკრძალება დაუბრკოლებლივ შეასრულოს სასამართლოს გადაწყვეტილება მუშაკის სამუშაოზე აღდგენის შესახებ. გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სასამართლო გამოიტანს განჩინებას არასწორად დათხოვნილი მუშაკისათვის ძალაუნებურად გაცდენილი დროის (აღდგენის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის დღიდან) გასამრჯელოს გადახდის შესახებ. ამ თანხის გადახდით მიყენებული ზარალის ანაზღაურება სასამართლოს შეუძლია დააკისროს გადაწყვეტილების შეუსრულებლობაში დამნაშავე თანამდებობის პირს. ამასთანავე ეს თანამდებობის პირი შეიძლება მიცემულ იქნას პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით.

შეკითხვა: ბინა III ჯგუფის ინვალიდი. ქმარი დაეღუპა დიდ სამამულო ომში. მაქვს 25 წლის მუშაობის სტაჟი, გამოათავისუფლეს სამუშაოდან შტატების შემცირების საბაბით, სინამდვილეში კი შტატების შემცირებას ადგილი არ ჰქონია. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა 1967 წლის 31 აგვისტოს გამოიტანა დადგენილება ჩემი სამუშაოზე აღდგენის შესახებ, რაც ადმინისტრაციამ არ ასრულებს. როგორია პასუხისმგებლობა სამუშაოზე აღდგენის შესახებ სასამართლოს დადგენილების შეუსრულებლობისათვის?

მ. გიგილაშვილი,
ყვარლის რაიონი.

პასუხი: ადმინისტრაციას ეკრძალება დაუბრკოლებლივ შეასრულოს სასამართლოს გადაწყვეტილება მუშაკის სამუშაოზე აღდგენის შესახებ. გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სასამართლო გამოიტანს განჩინებას არასწორად დათხოვნილი მუშაკისათვის ძალაუნებურად გაცდენილი დროის (აღდგენის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის დღიდან) გასამრჯელოს გადახდის შესახებ. ამ თანხის გადახდით მიყენებული ზარალის ანაზღაურება სასამართლოს შეუძლია დააკისროს გადაწყვეტილების შეუსრულებლობაში დამნაშავე თანამდებობის პირს. ამასთანავე ეს თანამდებობის პირი შეიძლება მიცემულ იქნას პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით.

ჩვენი იურიდიული კონსულტაცია

ე. ა. ახობაძე — ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უახლესი ისტორიის განყოფილების უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა **ერასტი ამბაკოს-ძე ახობაძემ** ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: **„ლენინური ეროვნული პროგრამის დაცვისათვის ბრძოლის ისტორია საქართველოში (1900-1917 წწ.)“.**

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ ე. ა. ახობაძეს დაუმტკიცა ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.

ტურნირის ფინიში

ჭადრაკი

თბილისის ქალთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის ფინიშზე ცოტა სიურპრიზი როდი მოხდა. თუმცა სხვანაირად არც კი შეიძლებოდა, რადგან ბრძოლის დასკვნითს ეტაპზე მეტოქენი ძალიან ღელავდნენ და სტოდაგდნენ. მაგრამ, რაც მთავარია, ლიდერები ლიდერებად დარჩნენ, აუტსაიდერები კი აუტსაიდერებად.

უკანასკნელისწინა მეთოთხმეტე ტურში სსრ კავშირის ექს-ჩემპიონი **ნ. ალექსანდრია** წარმატებით იბრძოდა რუმინელი საერთაშორისო ოსტატის **ე. პოლიქრონიადეს** წინააღმდეგ და მეტად საჭირო ქულა ჩაიწერა აქტივში.

წარმატებით იბრძოდა აგრეთვე ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი **ც. კობაიძე,** რომელიც ლიდერთა ჯგუფში იმყოფებოდა. მეთოთხმეტე ტურში მან ყაიმით დაამთავრა ძეხვედრა ერთ-ერთ უძლიერეს საბჭოთა ოსტატთან **კ. სკეგინასთან. ც. კახაბრიშვილმა** მოუგო **მ. სანაძეს.** საერთაშორისო ოსტატს **ა. ჩაიკოვსკაიას** ძლიერი ფინიში ჰქონდა. ბე-14 ტურში მან სძლია **ნ. ხუბულურს.** ჩეხოსლოვაკიელი **კ. ერეტოვა** და ოსტატი **ე. კაკაბაძე** ყაიმზე შეთანხმდნენ. **კ. ვრეკენმა** დაამარცხა **თ. ხუგაშვილი.**

გადადებული პარტიების დამთავრებისას **ტ. ზატულოვსკაია** და **ჟ. ვერეცი** ყაიმზე შეთანხმდნენ. ასეთივე შედეგებით დამთავრდა **ც. კახაბრიშვილისა** და **ე. ნიუნჰერტის** პარტია. კვლავ გადაიდო **ე. ნიუნჰერტ-კ. რაძიკოვსკას** პარტია, სადაც საყაიმო პოზიციაა. **ე. პოლიქრონიადე** დანებდა **კ. ერეტოვას** და ყაიმზე შეუთანხმდა **ა. ჩაიკოვსკაიას. ა. ჩაიკოვსკაიამ** მოუგო **ნ. ალექსანდრიას.**

უკანასკნელი ტურის წინ **ნ. ალექსანდრიას** 10 ქულა ჰქონდა, **ტ. ზატულოვსკაიასა** და **ა. ჩაიკოვსკაიას** — ცხრანახევარ-ცხრანახევარი ქულა, **ც. კობაიძეს**—9 ქულა.

პირველობის საკითხი უნდა დადგენილიყო გუშინდელ უკანასკნელ მეთხუთმეტე ტურს.

ნ. ალექსანდრიამ უკანასკნელ ტურში მოუგო **ნ. ხუბულურს** და 11 ქულით ტურნირზე პირველი ადგილი დაიკავა.

ტ. ზატულოვსკაიამ ც. კახაბრიშვილთან, ხოლო **ა. ჩაიკოვსკაიამ ც. კობაიძესთან** პარტიები ყაიმით დაამთავრეს და 10-10 ქულით მეორე და მესამე ადგილები გაიყვეს. **ე. პოლიქრონიადემ** დაამარცხა **ე. კაკაბაძე, თ. ხუგაშვილი-ე. ნიუნჰერტი** და **ჟ. ვერეცი-კ. ერეტოვა** ყაიმზე შეთანხმდნენ.

დღეს დილით მოეწყობა გადადებული პარტიების დამთავრება, საღამოს კი ტურნირი საზეიმოდ დაიხურება.

• • •

თბილისის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის მონაწილეთა ერთი ჯგუფი. მარცხნიდან: ც. კახაბრიშვილი (თბილისი), ჟ. ვერეცი (უნგრეთი), ა. ჩაიკოვსკაია (თბილისი), ნ. ხუბულური (თბილისი), ნ. ალექსანდრია (თბილისი), ბ. ფრეკენი (პოლონეთი), რ. რაძიკოვსკა (პოლონეთი).

ფოტო გ. გოგობერიძისა.

ჩემპიონატი და ციფრები

საკავშირო ჩემპიონატის მონაწილე უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა კოლექტივებს უკვე გაეღლილი აქვთ პირველი წრის დისტანციის ნახევარზე მეტი.

„ოქროს მაძიებელთა“ 20 კოლექტივიდან დევიასათვის მხოლოდ გასული წლის ჩემპიონები—კიევის დინამოელები იბრძვიან დაუმარცხებლად.

ყველაზე შედეგიანი ფორვარდები აღმოაჩნდათ დედაქალაქის გუნდებს „სპარტაკსა“ და „ტორპედოს“. პირველის აქტივშია 18 ჯიგანელი ბურთი, მეორისაში — 17 გოლი. ჯერჯერობით ჩემპიონატის მთავარ ბომბარდირად ითვლება სპარტაკელი ვ. იანკინი, რომელიც 6 გოლს ავტორია.

მეკარეთა და დაცვის თამაშით გამოირჩევიან ბაქოს „ნეფტჩი“, თბილისის „დინამო“ და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი“, რომლებმაც ათ მატჩში საკუთარ კარში მხოლოდ 4 ბურთი მიიღეს. ამ მხრივ (მიღებული ბურთებით) ყველას გადაკარბეს დონის როსტოვის არმიის სასპორტო კლუბის გუნდმა. აგრეთვე მოსკოვის „დინამომ“, ტაშკენტის „პახტაკორმა“ და ქუთაისის „ტორპედომ“. პირველის კარი 10 მატჩში 16-ჯერ აიღეს, დანარჩენი სამი გუნდისა — თხუთმეტჯერ.

გატანილი და მიღებული ბურთების სხვაობით ყველაზე უკეთესი მდგომარეობა აქვს მოსკოვის „სპარტაკს“ (+10), ყველაზე უარესი — კიროვაბადის „დინამოს“ (—9).

ერთფეროვანი ჩემპიონატი

მოსკოვში მიმდინარეობს დედაქალაქის ჩემპიონატი ჭადრაკში. აქ გროსმაისტერებთან და ოსტატებთან ერთად გამოდის მაიოფლოის ჩემპიონი ტ. პეტროსიანი.

29 მაისამდე გათამაშდა სამი ტური. გადადებული პარტიების დამთავრების შემდეგ გამოვლინდნენ ლიდერები. ისინი ექვსნი არიან — გროსმაისტერები პეტროსიანი, აბერბახი, ბრონშტეინი და ხუბეტინი, აგრეთვე ოსტატები ბისკოვსკი და კულკა. მათ ორ-ორი ქულა აქვთ.

სპორტული ქრონიკა

● **ტრიესტში** გაიმართა საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში იტალიისა და ინგლისის ახალგაზრდულ ნაკრებ გუნდებს შორის. მეტოქეებმა თითო ბურთი გაიტანეს — ფრე.

● **კიევში** დამთავრდა საკავშირო ჩემპიონატი აკრობატიკაში. გუნდურ ასპარეზობაში უძლიერესი იყო რსფსრ-ის სპორტსმენთა კოლექტივი.

● **ევროპის** ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასის მომავალი გათამაშებებში საბჭოთა კავშირიდან გამოვლენ კიევისა და მოსკოვის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდები. პირველი ტურის წილისყრა შედგება 10 ივნისს.

● **სსრ კავშირის** დაშნით მოფარკავეთა ნაკრებმა გუნდმა ახალგულეში 9:2 დაამარცხა საფრანგეთის გუნდი, შემდეგ კი მოუგო (5:1) ლიმოჟის გუნდს.

ოსტრავა-ნოვაპოლი-რომი

სსრ კავშირის ნაკრების თვრამეტი ფეხბურთელი გუშინ გაემგზავრა ოსტრავაში, სადაც 1 ივნისს გაიმართება საპასუხო შესარჩევი მატჩი ჩეხოსლოვაკიის ოლიმპიურ ნაკრებ გუნდთან. ერთი დღის შემდეგ კი ჩვენი ნაკრები, უკვე ნეაპოლში იქნება.

აქ 5 ივნისს ნახევარფინალურ მატჩში ევროპის პირველობაზე იგი შეხვდება იტალიის გუნდს. იმავე დღეს მეორე ნახევარფინალში ფლორენციაში თამამობენ ინგლისისა და იუგოსლავიის ნაკრები გუნდები. შემდეგ ოთხივე გუნდი შეიკრიბება რომში, სადაც 8 ივნისს ნახევარფინალებში გამარჯვებულნი გათამაშებენ ევროტენტის პირველი ჩემპიონის ტიტულს, ხოლო დამარცხებულნი — მესამე და მეოთხე ადგილებს.

სსრ კავშირის ნაკრები ამ პასუხსაგები შეხვედრებისათვის გაემგზავრა ასეთი შემადგენლობით: **ი. პშენიჩნიკოვი, ე. რუდაკოვი, ვ. ანიჩკინი, ვ. აფონინი, ი. ოსტომინი, ვ. კაპლიჩნი, ვ. ლეონენკო, ბ. ლოგოფეტი, მ. ხურცილავა, ა. შესტერნიოვი, ა. ლენიოვი, ე. მალოფეევი, კ. ასათიანი, ა. ბანიშევსკი, ა. ბიშოვეცი, ბ. ევრიუპინი, გ. ნოდია** და **ი. ჩისლენკო.** (საკდესი).

ჩენოსლოვაკიისა და **სსრ კავშირის ნაკრებთა მატჩის ტელევიზიო ინტერვიზიით ნავარაუდევია 19 საათიდან და 55 წუთიდან თბილისის დროით.**

ROGORI იქნება ივნისი

ივნისი მთელ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ზაფხულის პირველ თვედ ითვლება არა მარტო კალენდარულად — მიწა მზისგან იღებს მაქსიმალურად ბევრ სითბოს. თუმცა ზოგჯერ მკვეთრი გადახრაც ხდება. 1941 წლის ივნისი, მაგალითად, ცივი იყო, ხშირი წვიმებით და თავისი ხახვათით უფრო შემოდგომას ჰგავდა; კარელიაში კი, პეტროზავოდსკის მიდამოებში, თოვლიანი ქარბუქი მობოქრობდა. ივნისი მშრალი და ცხელიც არის ხოლმე. 1901 წელს რუსეთის ცენტრალურ ოლქებში ტემპერატურა დღისით პლუს 33-35 აღწევდა ხოლმე. ასეთივე სიცხე იყო 1946 და 1961 წლებში.

როგორი იქნება ივნისი წელს. ამაზე გვიპასუხებს ახალი ამბების საავგენტო კორესპონდენტი. სსრ კავშირის **მ ბიდრომეტეოცენტრის** თანამშრომელი **ვ. ლ. შიშკოვი.**

სსრ კავშირის ევროპულ ნაწილში წლევანდელი ივნისი თბილი იქნება, ნორმაზე 1-2 გრადუსით მაღალი ტემპერატურით.

ყირიმისა და **კავკასიის** შავი ზღვის სანაპიროებზე ნამდვილი საკურორტო სეზონია. ივნისის პირველ ხუთდღიურში ტემპერატურა დღისით აიწევს 25-30 გრადუსამდე, სითბო თვის ბოლომდე გასტანს. სოჭისა და სოხუმის მიდამოებში ელექტრო მოსალოდნელია მხოლოდ თვის პირველ ნახევარში.

ჩრდილოეთ კავკასიაშიც ეთბილება, დღისით იქნება 25-30, ზოგჯერ 31-36 გრადუსი.

ამიერკავკასიაში სიცხეა მოსალოდნელი, დღისით 25-38 გრადუსი. თვის პირველ ნახევარში სავარაუდებელია ხშირი ეუცუნა წვიმები.

თოვლი, გრიგალი

მაისს ყველგან როდი უმაისია ჩვენს პლანეტაზე. ნორვეგიაში, შვეიცარიასა და ფინეთში, სადაც ციკლონები ქროდნენ, მაისში მეტად ჭირვეული ამინდები იდგა — ერთმანეთს ცვლიდა ავდარი, თოვლი, გრიგალები. დღისით თერმომეტრი დაახლოებით 10 გრადუსს უწევენებდა, მხოლოდ შვეიცარიასა და ფინეთის სამხრეთში აღწევდა 15 გრადუსს. ბოტნიის ყურის ჩრდილოეთ ნაწილში, როგორც ახალი ამბების საავგენტო იტყობინება, ჯერაც დაცურავენ ყინულები.

იწურება გაზაფხული. განსაკუთრებით საამო იყო წლევანდელი მაისის ამინდები, დიდსა და პატარას გული შინ არ უდგებოდა — რესპუბლიკის გზებზე, მთის ბილიკებზე შაბათ-კვირადღეობით მრავლად ნახავდით ბურგზე ჩანთაკიდებულ მოლაშქრეებს თუ ტურისტებით სავსე ავტობუსებს. ფოტოკორესპონდენტმა კ. ეუფუნიამ ეს სურათი, რომელსაც მან „ნორჩი მოლაშქრენი“ უწოდა, გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს გადაიღო ზუგდიდის რაიონში.

ნაპირ-ნაპირ

ხე 30 მილიონი წლისაა

ხე, რომელიც სპეციალისტთა აზრით, 30 მილიონი წლის უნდა იყოს, „ხარობს“ ერეგვნის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვესტიბიულში. იგი შემოხვევით აღმოაჩინეს სომეხმა მეცნიერებმა, როცა აწარმოებდნენ გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოებს ზანგეზურის მთებში მდინარე ვოროტანის ღრმა ხეობის ფერდობზე.

ქვანახშირის ფენების ქვეშ, ორ ასეულ მეტრზე ნაპოვნია ეს ხე. ამავე ფენებში სპეციალისტებმა გათხარეს უძველესი ეპოქის ცხოველთა ნაშთები.

გაქვავებული ხე ძნელად მისასვლელ ადგილას იპოვეს და ექსპედიციის წევრებს მოუხდათ ნაწილ-ნაწილ ამოეღოთ ხეთა ნაშთები. ... ...